# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№105 (9785) 2024 წლის 13 სექტემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი


## ივანიშვილის ფუნქცია მსოფლიო გეოპოლიტიკურ არენაზე

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილია. „ოცნების“ ეს სვლა მოსალოდნელიც იყო, რადგან დღესაც, როგორც ყველა სხვა არჩევნებში „ქართული ოცნების“ უპირობო გამარჯვების ფაქტორი ივანიშვილია. თუმცა, არჩევნების შემდეგ სად გადაინაცვლებს ივანიშვილი, დარჩება პარტიის საპატიო თავმჯდომარის პოზიციაზე თუ აქტიურად ჩაერთვება საპარლამენტო ცხოვრებაში, ამ ეტაპზე უცნობია. უმრავლესობაში კატეგორიულად გამორიცხავენ მოსაზრებას, თითქოს ივანიშვილი პარლამენტიდან პრეზიდენტის სასახლეში გადაინაცვლებს.

2



## შალვა პაპუაშვილი:

### ვინც აფინანსებს „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო კლიპებს, კამპანიებს, იქნება ეს ამერიკული ფონდი თუ ევროპული ფონდი, ის ერევა ქართულ არჩევნებში...

9

## მოღალატე ოპოზიციას ბუმერანგი აშინებს

5



ირაკლი კობახიძე

## კვირის ციტატა

### 26 ოქტომბერს საქართველომ უნდა გაიმარჯვოს!

... **ეს არის** გადამწყვეტი რეფერენდუმი, სადაც საზოგადოებამ საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ მშვიდობას, ირჩევს საზოგადოების მორალურ გადაგვარებას თუ ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს ბნელ წარსულს თუ საქართველოს ნათელ, ევროპულ მომავალს.

დარწმუნებული ვართ, ქართველი ხალხის მხარდაჭერით გაიმარჯვებს ჩვენი პოლიტიკური გუნდი, რაც საქართველოში მშვიდობის, ღირსების, კეთილდღეობისა და საქართველოს ნათელი, ევროპული მომავლის გამარჯვებას ნიშნავს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, 26 ჩვენი დღეა და 26 ოქტომბერს აუცილებლად საქართველო გაიმარჯვებს“!

წინ — წინაპრებისკენ!




## წიგნი უკვდავებისა...

დიდების პანთეონზე წიგნის შექმნა სიყვარულმა გადაგვაწყვეტინა, იმ სიყვარულმა, რომელიც აუცილებელია წინაპრების მიმართ... ქართველი კაცის მზერა მარადიულად უნდა იყოს მიპყრობილი „ვეფხისტყაოსნისკენ“ და იქიდან უნდა ისრუტავდეს იმ იგავმიუწვდომელ სიბრძნეებს, რომლებმაც იავარქმნისაგან გადაარჩინა ქართველი ერი და დღევანდლამდე მოიყვანა.

შოთა რუსთაველი გვეუბნება: „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“!.. და ჩვენც ამ შეგონებით ვისარგებლეთ. ღირსეული წინაპრების მიერ გაკვალული გზა ფიანდაზად ეგება ქართველ კაცს და შთამომავლობაც ვალდებულია, დააფასოს მათი ღვაწლი და შემოქმედება ჩვენი ერის წინაშე. ჩვენც ვიშრომეთ მათი სახელების უკვდავსაყოფად, რათა ჩავიხედოთ ამ წიგნში და კიდევ ერთხელ პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას... თუ როგორ გამოგვივიდა ეს, თქვენი შესაფასებელია...

მოგვიტევეთ, თუ რამ შეგვეშალა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

**მაშ ასე, წინ — წინაპრებისკენ!..**

**ბადრი ქუთათელაძე**



7

## კეზერაშვილის ყელზე ყულფი ვიწროვდება —



3

### გერმანიის მოთხოვნით, „მისტერ ოფშორას“ ბიძაშვილი მიხეილ ბინიამინი (ბენიაშვილი) დააკავეს!




11

## „იაპონელი შინდლერი“



# ივანიშვილის ფუნქცია მსოფლიო გეოპოლიტიკურ არენაზე

პირველი გვერდიდან

**უმრავლესობის** წევრის **მამუკა მდინარაძის** განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო სიის პირველი ნომერი იმიტომაა, რომ გადაწყვიტოს საკონსტიტუციო უმრავლესობის ბედი.

**„საერთოდ რომ ქუდი დავიხუროთ და სახლში დავსხდეთ, საკონსტიტუციო უმრავლესობა დღეს შეიძლება ვერ მოვიპოვოთ, პირდაპირ გეუბნებით. შეიძლება ვერ მოვიპოვოთ, მაგრამ ჩვეულებრივი უმრავლესობის მოპოვება პრობლემა არ არის. ქვეყნის გადარჩენის ინტერესი ემთხვევა საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების ინტერესს. აქ უფრო მეტი და მყარი გარანტიაა. იმიტომაა სიის პირველი ნომერი, რომ გადაწყვიტოს საკონსტიტუციო უმრავლესობის ბედი და მყარი გარანტია ავიღოთ ამ ქვეყნის მშვიდობის, ღირსების, კეთილდღეობის და მხოლოდ ამ გზით ევროკავშირის წევრობისა...**

„ქართულ ოცნებაში“ აღიარებენ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების ფაქტორი არის ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** დაკვირვებით, ამომრჩევლის მოზიდვის ფუნქცია უნდა შეასრულოს. „ქართულ ოცნებას“ მობილიზება არჩევნებში დამაჯერებელი შედეგისთვის სჭირდება.

**„რატომ სჭირდება მოზიდვა „ქართულ ოცნებას“ – რატომ არის ასეთი ძლიერი მობილიზება? – იმიტომ რომ, სულ არის როგორც შიდა, ისე გარე ექსპერტებისა თუ პოლიტიკოსების შეფასებები, რომ არჩევნების შედეგი საეჭვო თუ იქნება, საქართველოს ხელისუფლების მიმართ რაღაც სანქციები გატარდება. არა საეჭვო, დამაჯერებელი შედეგი იქნება მაშინ, თუ ბევრი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას და ოპოზიციისა და ხელისუფლების მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობას შორის, დიდი იქნება განსხვავება. ამისთვის მობილიზება სჭირდებათ“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ პირველი ნომერი მივიდა გადამწყვეტი პოლიტიკური თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად. მისი თქმით, ივანიშვილი არის გარანტი ქვეყნის სუვერენიტეტის სრულყოფის, მშვიდობის შენარჩუნების და განმტკიცების, მოზარდი თაობის და საერთოდ, საზოგადოებაში ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის, თავად ლგბტ თემის უფლებების სრული დაცვის, გარე ძალების მიერ დაფინანსებული მეხუთე კოლონის, იგივე „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ-სამართლებრივი გასამართლების და იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური გაცამტვერების.

**„უდავოა, ყველას გაუკვირდა რატომ დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში, როდესაც გასული წლის იანვარში მესამეჯერ შემოვიდა პოლიტიკაში. ის ხედავს, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკურ არენაზე ძალიან დიდი არეულობებია, მიმდინარეობს გადანაწილებები და ამ გადანაწილებებში თუ ჭკუით არ მოიქცევა საქართველო, ისე გავქრებით, როგორც შარშანდელი თოვლი. ამიტომ, ივანიშვილმა კარგად იცის, დღეს რა გადანაწილებები არის და როგორ მიმდინარეობს მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე ფიგურების გადაადგილება.**

**სწორად მოვიდა იმ დროს და იმ სიტუაციაში, როდესაც ამის საჭიროება იყო. ვნახოთ და გადავხედოთ მის მოღვაწეობას – როდესაც 2012 წელს შემოვიდა პოლიტიკაში, არავის არ ეგონა, რომ ასეთ კოლოსალურ წარმატებას მიაღწევდა. მე ვსვამ ასეთ კითხვას – 2012 წლის შემდეგ ივანიშვილმა მოიგო თუ არა ყველა ის პოლიტიკური თამაში, რომელიც მის წინააღმდეგ წამოიწყეს? – უკლებლივ ყველა პოლიტკური თამაში მოიგო და ამის დამადასტურებელია ის, რომ საქართველოს ამ 12 წლის განმალობაში 1 სანტიმეტრი მიწა არ დაუკარგავს განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან.**

**ასევე, რაც მნიშვნელოვანია, 2022 წლის 24 თებერვლიდან დღევანდელ დღემდე საქართველო არ ჩართულა ომში. ხმალი მაშინ უნდა მოიქნიო, როდესაც მოსაქნევია. რაც მნიშვნელოვანია, ბიძინა ივანიშვილის ხედვით და ეს ასეც იქნება, საქართველო რეგიონში გახდება პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფინანსური ჰაბი. ეს მოსალოდნელია, ვინაიდან ისე მიმდინარეობს მსოფლიო გეოპოლიტიკური გადანაწილება, საიდანაც საქართველო აუცილებლად გამარჯვებული გამოვა“,** – ამბობს ედიშერ გვენეტაძე.

„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი **ლევან მამალაძე** თვლის, რომ ივანიშვილი საქართველოს შემდგომი პრეზიდენტი იქნება. თუმცა, ამ ეტაპზე, მამალაძის განცხადებით, ივანიშვილის „ქართული ოცნების“ პირველ ნომრად დაფიქსირებამ წერტილი დაუსვა ოპონენტების სპეკულირებას მისი პოლიტიკაში ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით.

**„ბიძინა ივანიშვილმა ბუნდოვანება გაფანტა და პარლამენტში შესვლით დაადასტურა, რომ, როგორც დღევანდელი პოლიტიკური ელიტის ავტორი, პასუხისმგებობას იღებს ქვეყნის მომავალ განვითარებაზე და სტრატეგიაზე. მან საკმარისად გაწვრთნა და გამოზარდა ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომლებიც მთავრობასა და პარლამენტის მაღალ თანამდებობებზე პროფესიონალიზმს ავლენენ. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ პრემიერობას ან პარლამენტის თავჯდომარეობას არ მოინდომებს, ამისთვის „ქართულ ოცნებას“ უკვე გამოცდილი მოხელეები ჰყავს.**

**საქართველოს პრეზიდენტობა კი ბიძინა ივანიშვილისთვის მისაღები თანამდებობა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს კონსტიტუციით შეზღუდული უფლებები აქვს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური წონისა და ავტორიტეტის გათვალისწინებით, მას ქვეყნის პირველი პირის დატვირთვა მიეცემა. საპარლამენტო არჩევნებში, „ოცნების“ მხრიდან საკონსტიტუციო უმრავლესობის აღების შემთხვევაში კი, საქართველოს პრეზიდენტის სტატუსის გაზრდაც არ უნდა გამოირიცხოს“,** – აცხადებს ლევან მამალაძე.

**„უდავოა, ყველას გაუკვირდა რატომ დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში, როდესაც გასული წლის იანვარში მესამეჯერ შემოვიდა პოლიტიკაში. ის ხედავს, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკურ არენაზე ძალიან დიდი არეულობებია, მიმდინარეობს გადანაწილებები და ამ გადანაწილებებში თუ ჭკუით არ მოიქცევა საქართველო, ისე გავქრებით, როგორც შარშანდელი თოვლი.**

**FOR.GE თამთა ქარჩავა**

# „მაშველი რგოლი“ — გარედან!

**გარედან რომ არავინ ჩაერიოს არჩევნებში, შეიძლება ამ აგენტურული პარტიებიდან ერთ პარტიასაც კი გაუჭირდეს ბარიერის გადალახვა, მთელი აქცენტი გაკეთებულია გარედან მაშველ რგოლზე...**

**ხავსად ქცეული მაშველი რგოლები მოსდით უცხოეთიდან, თორემ, აბსოლუტურად ნულები არიან, როგორც ხშირად თავადაც წამოსცდებათ ხოლმე; აბსოლუტურად ნულია ქართული ოპოზიცია, იმიტომ რომ, აგენტი არ შეიძლება რაღაც რეიტინგს ფლობდეს. აბსოლუტური ნულია, რომ არა გარედან რაღაც დახმარებები, რომელიც იქცა ხავსად, - ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა.**



როგორც მან აღნიშნა, უცხოეთიდან ჩარევა ოპოზიციისთვის არის მაშველი რგოლი, რომელიც ხავსად იქცა და მსგავსი განცხადებები უცხოელი აქტორებისგან კიდევ უფრო მეტად შეიძენს ხავსის დატვირთვას.

**„სიტყვა ხავსი შემთხვევით არ მიხსენებია. ჩვენ ვახსენებდით მაშველ რგოლს, წარმოიდგინეთ, რომ გარედან არანაირი მოძრაობა და არჩევნებში ჩარევის მცდელობა არ იყოს, ვერ მიიღებენ ალბათ ყველანი ერთად 10 პროცენტს. გარანტიას გაძლევთ, გარედან რომ არ ჩაერიოს არავინ, არ ვიცი, შეიძლება ერთმა პარტიამაც ვერ გადალახოს ბარიერი. წარმოიდგინეთ, რომ გარედან არავინ ერევა, შეიძლება ერთ პარტიასაც კი, ამ აგენტურული პარტიებიდან, გაუჭირდეს ბარიერის გადალახვა. მთელი აქცენტი გაკეთებულია გარედან მაშველ რგოლზე, განცხადებებზე, მოქმედებებზე თუ ა.შ. მაგრამ, ქართველმა ხალხმა უნდა დაიმახსოვროს, რომ გარედან განცხადებებით, გარედან მოქმედებებით, შეიძლება რაღაც რეიტინგი ოდნავ აწიონ, 3 %-იანმა 4-ზე, 4 %-იანმა 5-ზე, ან პირიქით, როცა ხალხი ბოლომდე კარგად გაერკვევა სიმართლეში და ხალხი იქნება ინფორმირებული ჩვენ მიერ, განსაკუთრებით. ყველა ასეთი მაშველი რგოლი ხავსად არის ქცეული უკვე და კიდევ უფრო მეტად შეიძენს ხავსის დატვირთვას ასეთი განცხადებები, მათ შორის, იმ ადამიანის ჩამოსვლა, რომელიც ჯერ პარლამენტში იყო ვითომ საქმიანი შეხვედრით, საქმიანი გამომეტყველებით, შემდეგ რადიკალური აგენტურული ოპოზიციის მიტინგზე რაღაც ანტისამთავრობო მოწოდებებით გამოდიოდა. ნიკა სამხარაძე რომ გერმანიაში ჩავიდეს და შოლცის გადადგომა მოითხოვოს და რაღაც ეპითეტები უწოდოს, რა რეაქცია ექნებათ ჩვენს გერმანელ კოლეგებს? ზუსტად იგივეა, ანუ ზევიდან გვიყურებენ და პატარა ქვეყანა ვართ?! ასე არ არის ! ამ ქვეყანამ გაბედა, რომ ეთქვა თვისი სათქმელი ყველასთვის - არ შეიძლება ასე,“**- განაცხადა მდინარაძემ.

# მაინც მოვდივარ და დამხვდითო!

**„რატომღაც, როთმა გადაწყვიტა ჩამოსვლა – მიუხედავად მძიმე შეურაცხყოფისა, რომელიც საქართველოს მიაყენა, არა მარტო მართლმადიდებელ ეკლესიას, უკიდურესად მწვავე გამონათქვამისა, რომელიც დღემდე ყველას ახსოვს, მიკვირს, რატომ არ უჩნდებათ პროტესტი ოპოზიციის მხარდამჭერებს“,** – ასე აფასებს მმართველი გუნდის წევრი **გია ვოლსკი** საქართველოში ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მიხაელ როთის დაგეგმილ ვიზიტს.



**„აქ არის მეორე მხარეც – არსებობს დიპლომატია, არსებობს ეტიკეტი. ადამიანი ამბობს, რომ ჩამოვდივარ ამა და ამ დღეს და კეთილი ინებოს პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ და შემხვდნენო, მით უმეტეს, მისი იმ როყიო განცხადებების შემდეგ, ვფიქრობ, ეს ადამიანი „უფროსი ძმის“ სინდრომით არის შეპყრობილი,“** – აცხადებს გია ვოლსკი.



მიხეილ ბინიამინი

# კეზერაშვილის ყელზე ყულფი ვიწროვდება –

## გერმანიის მოთხოვნით, „მისტერ ოფშორას“ ბიძაშვილი მიხეილ ბინიამინი (ბენიაშვილი) დააკავეს!



დავით კეზერაშვილი

**ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეზე დაწყებული საერთაშორისო გამოძიება დავით კეზერაშვილის უახლოეს გარემოცვაზე გავიდა. სომხეთში, გერმანიის პროკურატურის მოთხოვნით, თავდაცვის ექსმინისტრის ბიძაშვილი მიხეილ ბინიამინი, იგივე მიშა ბენიაშვილი დააკავეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ევროპელი პენსიონერების ძარცვის ტრანსნაციონალური სქემა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანას მოიცავდა, გამოძიების ინფორმაციით, საქართველოსა და ისრაელის ორმაგი მოქალაქე ბინიამინი საერთაშორისო თაღლითური დაჯგუფების ალბანურ ფილიალს კურირებდა.**

ალბანეთში კეზერაშვილის ბიძაშვილთან დაკავშირებული ქოლ-ცენტრები ადგილობრივმა პოლიციამ დახურა. გერმანული გამოძიების ინფორმაციით, ამ კონსპირაციული დაწესებულებებიდან ევროკავშირის მოქალაქეებს მილიონობით ევრო გამოსძალეს. მოსალოდნელი საფრთხის გამო მიხეილ ბინიამინმა ალბანეთი დატოვა, თუმცა ის საერთაშორისო ორდერით ერევანში დააპატიმრეს.

მიხეილ ბინიამინის ოჯახთან დაკავშირებული კომპანიები მოქმედებს თბილისშიც. კერძოდ, ჩინური ელექტრო ავტომობილების ცენტრი თბილისში, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიხსნა და მის მფლობელად საჯარო რეესტრში, ბინიამინის ცოლის ძმა, ასევე, ისრაელისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქე მორდეხაი მიხაელია მითითებული. შეგახსენებთ, რომ დავით კეზერაშვილის ბიძაშვილი მიხეილ ბინიამინი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც BBC-ის სკანდალურ საგამოძიებო ფილმშიც ფიგურირებს.

„მილიარდიანი თაღლითობა“ – ამ სახელწოდებით ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოძიება აპრილში გამოაქვეყნა.

ფილმის მთავარი მონაწილე დავით კეზერაშვილია, რომლის უახლოესი გარემოცვა სხვადასხვა ქვეყანაში ქოლ-ცენტრების ქსელს მართავს. თავად კეზერაშვილი ბრალდებებს უარყოფს და ყველაზე სანდო რეპუტაციის ბრიტანულ მედიას ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. მიხეილ ბინიამინი გამოძიების ობიექტი გახდა ისრაელშიც. საქმე ეხება დავით კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს საქართველოს ბიუჯეტიდან იარაღის შესაძენად გადარიცხულ 11 მილიონ დოლარზე მეტ თანხას, რომელიც წინასწარი შეთანხმებით, ისრაელის საგადასახადო სამსახურებს დაუმალეს.

**კეზერაშვილი ბრალდებას უარყოფს, მაგრამ რაც დრო გადის, მეტად იკვეთება კეზერაშვილის კრიმინალური მასშტაბები ქოლ-ცენტრების საქმეში და მთელ ამ ისტორიაში უცნაურია ის ფაქტი, რატომ აქვს მას ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, მაშინ როდესაც კეზერაშვილის კრიმინალური ბიზნესის მსხვერპლი სწორედ ევროპელი პენსიონერები არიან. ევროპელი პენსიონერების ნაძარცვი ფულით კეზერაშვილი საქართველოში აფინანსებს რადიკალურ ოპოზიციას, მათ შორის მედიას და ე.წ. „ენჯეო“ სექტორს, რომლებსაც არ უქმნით უხერხულობას ის ფაქტი, რომ კრიმინალური სქემის თანამონაწილეები არიან.**

დავით კეზერაშვილი 2008 წლის ომის დახმარებით, მოკლე დროში, კოლოსალურად გამდიდრდა, გაძარცვა რა ქართული ჯარი. გარდა ამისა, მისი ხელით იძარცვებოდა საქართველოს ბიუჯეტი და კეზერაშვილის „შავ სალაროში“ გროვდებოდა ბიზნესმენებისა და მცირე მეწარმეებისთვის წართმეული თანხები, რომლესაც უშუალოდ სააკაშვილი უწევდა ორგანიზებას. ამის მიუხედავად, „სამართლიანმა“ ევროკავშირმა კეზერაშვილს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, სადაც ასევე წარმატებით გააგრძელა უკვე ევროპელების ძარცვა.

**პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ისმის კითხვა, ხომ არ სარგებლობს კეზერაშვილი ხელშეუხებლობის გარანტიით რადიკალების დაფინანსების სანაცვლოდ? როგორც შალვა პაპუაშვილი აცხადებს, საქართველოსთვის მისი გადმოცემა ამ ეჭვების გაფანტვის ერთადერთი გზაა.**

**„არალეგალური ქოლ-ცენტრებთან დაკავშირებული თანხების გადარიცხვის ბოლოდროინდელმა სკანდალმა ნათლად დაგვანახა, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა, უსაგნო მორალისტობის ნაცვლად, რომ დაეხმარონ საქართველოს, თავიდან აირიდოს სასიცოცხლო საფრთხეები. პროკურატურამ, გერმანელ კოლეგებთან ერთად აღმოაჩინა უკანონო ქოლ-ცენტრებიდან მიღებული დიდი ფულადი თანხების გადარიცხვები, რომლებიც ევროპელი პენსიონერების ძარცვით იყო დაგროვილი 2019-2021 წლებში და რომლებიც დავით კეზერაშვილის და მისი ოჯახის ანგარიშებზე მოხვდა.**

**აღმოჩნდა, რომ, რასაც BBC მის საგამოძიებო სიუჟეტში ამტკიცებდა, ახლა საბანკო გადარიცხვებით დადასტურდა: „მისტერ ოფშორი“, როგორც მას BBC-მ უწოდა, დანაშაულებრივი ქოლ-ცენტრების ბიზნესის უკან დგას. ამ ისტორიის ნამდვილი პარადოქსი ისაა, რომ კეზერაშვილი, რომლის დანაშაული უკვე ევროპული საგამოძიებო უწყებების მიერაცაა დადასტურებული, თავისუფლად გადაადგილდება ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთში და, იმავდროულად, რადიკალური ქართული ოპოზიციის დღის წესრიგის მთავარი დამფინანსებელია“,** – აცხადებს შალვა პაპუაშვილი.

**პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კეზერაშვილი ქართულ პოლიტიკას და პოლარიზაციას აფინანსებს ფულით, რომელიც ჯერ იშოვა საქართველოში ჯარისა და ბიზნესის ძარცვით, ახლა კი შოულობს ევროპაში, ევროპელი პენსიონერების ძარცვით, რაც შემაშფოთებელია. ირაკლი კობახიძის თქმით, მთავარია, რომ საზოგადოება გამოიტანს სათანადო დასკვნებს და ეს დასკვნები უნდა აისახოს გადაწყვეტილებებში, მათ შორის, 26 ოქტომბერს.**

თბილისის მერის შეფასებით, თავისთავად მძიმეა ის ფაქტი, რომ ნაძარცვი თანხები საქართველოშიც შემოდის და პოლიტიკა ფინანსდება. როგორც კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მთელმა მსოფლიომ გაიგო, ვინ ძარცვავდა ამ წლების განმავლობაში პენსიონერებს.

**„ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც მიმდინარეობს გამოძიება და ბევრი ადამიანია დაკავებული. კეზერაშვილის დაკავებას რაც შეეხება, ალბათ, რაღაც დონეზე სჭირდებათ და იყენებენ რაღაცისთვის. საქმე ძალიან ცუდია იმ თვალსაზრისითაც, რომ გარკვეული ნაძარცვი თანხები საქართველოშიც შემოდის და ამით ფინანსდება პოლიტიკა. ამაზე დიდი სიბინძურე რა შეიძლება იყოს, რომ კონკრეტული პოლიტიკური პარტიები, ტელევიზიები და წინასაარჩევნო კამპანია ნაძარცვი ფულით ფინანსდება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.




* * *

**აღსანიშნავია,** რომ გამოძიების მსვლელობის პროცესში თბილისში მდებარე რამდენიმე ქოლ-ცენტრი დახურეს, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო კეზერაშვილთან. ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა ქოლ-ცენტრებისა, საიდან ხდება ამ ზარების განხორციელება და ხდებიან თუ არა მათი ზეგავლენის ობიექტები საქართველოს მოქალაქეები, უცნობია. თუმცა, უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი **დავით კუხალაშვილი** თვლის, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით, აღნიშნული ქოლ-ცენტრები შეიძლება მოქმედებდნენ უცხო სახელმწიფოებში და თანამედროვე ეტაპზე ამის ტექნოლოგიური პრობლემა არ არსებობს.

„ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებას და სპეცსამსახურებს მართებთ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება გაზარდონ მოქალაქეების ცნობიერება და ყველა ფაქტის იდენტიფიცირება მოახდინონ, როდესაც ასეთი რამ ხორციელდება. თანამედროვე ეტაპზე ჩვენ გვაქვს ისეთი აღჭურვილობა და მათ შორის თბილისში, რომლის საშუალებითაც ტექნიკური საშუალებები აფიქსირებენ სხვადასხვა პირების, თუ პირთა ჯგუფების სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და იდენტიფიცირების პროცესესზე გარკვეულ ხელშეწყობას აჩენს.

ამიტომ, ყველა რესურსი უნდა იყოს გამოყენებული და აბსოლუტურად ყველა ადამიანი, ვინც კი ამ ზემოქმედების ქვეშ მოხვდა, უნდა იყოს გამოკითხული. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიწევს იმის გამეორება, რომ ჩვენ უსაფრთხოების სისტემა არ გვაქვს ძლიერი და შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის ასეთი მოწყვლადობა არის სწორედ ამ მოდელის არარსებობის ბრალი“, – აცხადებს კუხალაშვილი.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# რაც არ უნდა გასკდეს ნიკუშა გვარამია, მისი სურვილი მაინც არ აღსრულდება!






**გადაწყვეტილება მიღებულია — მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 450-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას დააფინანსებს!**

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ რეესტრში არასამთავრობო ორგანიზაციათა სარეგისტრაციო განაცხადების მიღება დასრულდა. შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს განაცხადით, რეესტრს 450-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ანუ უცხოური დაფინანსებით მოქმედი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა მიმართა, იმის მიუხედავად, რომ კონკრეტული უცხოელი დონორები არასამთავრობო ორგანიზაციებს დაფინანსების შეწყვეტით დაემუქრნენ, თუ ისინი იუსტიციის სამინისტროში გაივლიდნენ რეგისტრაციას. შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დააფუძნოს საგრანტო პროგრამა, რომელიც სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. დაფინანსებას კი ის ორგანიზაციები მიიღებენ, რომლებიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს რეესტრში დარეგისტრირდნენ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს ემუქრებიან და აშანტაჟებენ როგორც „ენჯეოები", ისე ცალკეული უცხოური დონორი ორგანიზაციები.

„საზოგადოების წინაშე გამოვლენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის თითოეულ ამ ორგანიზაციას მადლობა მინდა, გადავუხადო. ამ ფაქტით დადასტურდა, რომ უცხოური დაფინანსების მიღება ავტომატურად არ ნიშნავს უცხოური ძალის უარყოფითი ინტერესების გატარებას. ვისაც დასამალი არაფერი აქვს, მას არც გამჭვირვალობის ეშინია.

ლოგიკურია, რომ რეგისტრაციას არ ერიდებიან უცხოური დაფინანსებით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში არც პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას ცდილობენ, არც რევოლუციური გეგმების რეალიზებაში მონაწილეობენ, არც ქვეყნის რელიგიური იდენტობის შერყევას ცდილობენ, არც ლგბტ პროპაგანდით არიან დაკავებული და არც სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების მშენებლობისთვის ქმნიან ხელოვნურ დაბრკოლებებს", – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

* * *

**მთავრობის** ინიციატივაში წინასაარჩევნო მოსყიდვის ნიშნები დაინახეს ოპოზიციის წევრებმა. **რომან გოცირიძე** დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების" მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის პროფილის შეცვალა და სამთავრობო ორგანიზაციად გადაქცევა, რაც მისი თქმით, ანტისახელმწიფოებრივია და ამით ანგრევენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს საქართველოში.

„ნაციონალურ ერთობაში" გადასული **თამარ კორძაიას** თქმით, პრემიერს მიაჩნია, რომ თუკი ხელისუფლება თვითონ მისცემს არასამთავრობო ორგანიზაციებს ფულს, პრობლემა მოგვარდება, რაც ასე არ არის.

„თუ „რუსულ კანონს" გააუქმებენ, ძალიან კარგი ინიციატივა იქნება, მაგრამ რატომ უნადგურებენ საქართველოს მოქალაქეებს იმ 14-მილიარდიან დახმარებას, რომელიც როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებზე შეიძლება გადანაწილდეს? მთავარი ის არის, რომ ეს თავისუფალი სივრცისა და სიტყვის დევნაა ქვეყანაში. კობახიძე თვლის, რომ თუ თვითონ მისცემს არასამთავრობო ორგანიზაციების ფულს, პრობლემა მოგვარდება, რაც ასე არ არის. კობახიძე საქართველოს მოქალაქეებს 14-მილიარდიან დახმარებას უკარგავს და ქვეყანას იზოლაციაში აქცევს", – განაცხადა თამარ კორძაიამ.

კოალიცია „ცვლილებისთვის" წევრი **ნიკა გვარამია** ამბობს, რომ კოალიციის არც ერთი წარმომადგენელი არ ითანამშრომლებს ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების" ავტორიტარულ რეჟიმთან, არჩევნების შემდეგ მთავრობის ფორმირების პროცესში. რაც შეეხება საგრანტო ფონდის შექმას, გვარამია ამბობს, რომ ეს არის არასამთავრობო სექტორის მოსყიდვის კლასიკური მაგალითი.

**„ეს არის სრული აბსურდი, მოსყიდვა არასამთავრობო ორგანიზაციების. უფრო ხისტად ვიტყვი, სულ რომ შუაზე გასკდეს „ქართული ოცნება", რა შეთავაზებებიც არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებისთვის, მათ შორის, მათთვის ჩვეული მოსყიდვის შეთავაზებები, ის ხელისუფლებას მაინც დატოვებს 26 ოქტომბერს. საქართველო განვითარდება სწორი, ევროპული და დემოკრატიული მიმართულებით"!**

* * *

**ოპონენტებს** დასავლეთის მაგალითით პასუხობს „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე, რომლის განცხადებით ლოგიკა გაუგებარია, ორგანიზაცია, რომელიც სხვა ქვეყნის მთავრობისგან ფინანსდება, შეიძლება ეწოდოს არასამთავრობო, ხოლო თუკი ქვეყნის მთავრობისგან ფინანსდება, ეს დაუშვებელია.

„როგორ შეიძლება, მთავრობის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციას არასამთავრობო ეწოდოს?! არასამთავრობოა ორგანიზაცია, რომელიც სხვა ქვეყნის მთავრობისგან ფინანსდება! კრიტიკამაც არ დააყოვნა – მართალია, ეგენი სხვა მთავრობის დაფინანსებული ორგანიზაციები არიან და არა საკუთარი ქვეყნის მთავრობის, ამიტომ რა პრობლემაა. მაშინ არასამთავრობო რატომ, დავარქვათ გარესამთავრობო ორგანიზაციები.

მაგალითად, NED – აფინანსებს აშშ-ის მთავრობა, GIZ – აფინანსებს გერმანიის მთავრობა, USAID – აფინანსებს აშშ-ის მთავრობა, UNDP – აფინანსებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, EED – აფინანსებს ევროკავშირი, NDI – აფინანსებს აშშ-ის ცენტრალური ბიუჯეტი, IRI – აფინანსებს აშშ-ის ცენტრალური ბიუჯეტი. ნაცურ-აგენტურული ლოგიკით, ესეც რუსული მიდგომაა!", – აცხადებს მამუკა მდინარაძე.

* * *

**რადიკალებისგან** განსხვავებით გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს ექსპერტი **დავით ჩიხელიძე,** რომლის განცხადებით, პრემიერის მიერ დაანონსებული ახალი საგრანტო ფონდი, საქართველოში არასამთავრობო სექტორის შემდგომი შეუფერხებელი განვითარების და ფუნქციონირების გარანტი არის. როგორც ჩიხეილიძე აცხადებს, კანონის მიღების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთი განაცხადი გააკეთეს, რომ საქართველოში სამოქალაქო სექტორი იზღუდებოდა, მათი ფუნქციონირება ეჭვქვეშ დგებოდა და რამდენიმე მათგანი მუშაობის გაგრძელების პერსპექტივას ვერ ხედავდა.

„პრემიერის ინიციატივამ, არასამთავრობო სექტორს სპეკულაციების სივრცე არ დაუტოვა, სამოქალაქო სექტორს სახელმწიფო გაძლიერების და განვითარების შესაძლებლობას აძლევს. ბურთი არასამთავრობო სექტორის მოედანზეა, მათი გადასაწყვეტია, გადადგამენ შემხვედრ ნაბიჯს თუ ლუსტრაცია მოხდება, რომ მათი მიზანი არა რეალური მუშაობა და ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მუშაობა არის, არამედ ქვეყანაში არეულობის მოწყობა და რევოლუციური ფონის შექმნა. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილისთვის გრანტის მიღების მთავარი მოტივაცია არა სახელმწიფოს დაცვა და სამოქალაქო სექტორის განვითარება, არამედ ქვეყნის ლანძღვა და ოპოზიციის აქციებისთვის ხელისშეწყობა იყო"...

**თამთა ქარჩავა, FOR.GE**

# წარმატებული ქართველი ემიგრანტების პატივგება



**თბილისის საკრებულოში წარმატებულ ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა და დაჯილდოების ცერემონია შედგა.**

**თბილისის საკრებულოს პრესსამსახურის ინფორმაციით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩამოსულ ქართველ ემიგრანტებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე შეხვდნენ. ღონისძიება ყოველწლიური კვირეულის ფარგლებში „დიასპორის სახლის" ორგანიზებით გაიმართა.**

**როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, განაცხადა, ჩვენი ემიგრანტები საზღვარგარეთ ქართულ საქმეს ემსახურებიან და საკრებულოში ასეთ თანამემამულეებთან შეხვედრა დიდი პატივია.**

„საკრებულოში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრები უკვე ტრადიციად იქცა. ჩემთვის დიდი პატივია შეხვედრა იმ ადამიანებთან, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, ქართულ საქმეს ემსახურებიან და საქართველოს პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეწევიან. თქვენი წარმატების ისტორიები ჩვენი ქვეყნის წარმატებაა. მადლობა, რომ კავშირს ინარჩუნებთ სამშობლოსთან და ერთმანეთთანაც. საკრებულოს სახელით კი გეტყვით, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ფორმატის შეხვედრები, გვიგულეთ მუდამ თქვენ გვერდით", – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

ემიგრანტებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თინათინ ნიბლოშვილმა.

„ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობთ. თქვენ იქ არ ივიწყებთ ქართულ კულტურას. ბევრი თქვენგანი ჩართულია საგანმანათლებლო საქმიანობაში და უცხო ქვეყანაში დაბადებულ ქართველ ბავშვებს ხელს უწყობთ მშობლიური ენის და ქართული კულტურის გაცნობაში. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ საქმისთვის, ფასდაუდებელი შრომისთვის, რომელსაც აკეთებთ".

თბილისის საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე ქართველ ემიგრანტებს მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში ემიგრანტების შემოქმედების გამოფენა გაიმართა.

წარმატებული ქართველი ემიგრანტების დაჯილდოებას 2015 წელს ჩაეყარა საფუძველი და ყოველწლიურად 15 თანამემამულე ჯილდოვდება. წელს დაჯილდოვდნენ ის ქართველი ემიგრანტები, რომლებიც წლების მანძილზე სხვადასხვა სფეროში წარმატებული პროფესიული საქმიანობით პოპულარიზაციას უწევენ საქართველოს. ისინი ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კონკრეტულ ქვეყნებში ქართული დიასპორის ადგილობრივ სოციუმთან ინტეგრაციის საქმეში. ღონისძიების მთავარი გზავნილია ქართველ ემიგრანტთა საქმიანობის პოპულარიზაცია და ქართველი საზოგადოებისთვის მათი გაცნობა.

მესამე გვერდიდან

რაც შეეხება კეზერაშვილის ევროპის ქვეყნებში დამოუკიდებელ გადაადგილებას და ჩნდება თუ არა ეჭვი, რომ კრინიმალში მხილებული თავდაცვის ექსმინისტრი საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლოს, დავით კუხალაშვილის განცხადებით, საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს მეხსიერების წყვეტა, ზოგადად, იმ პირების შესახებ, რომელზეც ვსაუბრობთ.

„ზოგადად, ბოლო პერიოდში სულ ვსაუბრობთ ისეთ ადამიანებზე, რომლებიც იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს ყოფილი ხელისუფლების პირობებში. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სამწუხაროდ, ყოფილი ხელისუფლება, რომელიც მოვიდა 2003 წელს გადატრიალების შედეგად, ეს იყო უცხო ქვეყნების სადაზვერვო ზეგავლენის და, ალბათობის მაღალი ხარისხით, შეღწევადობას დაქვემდებარებული ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ყველა ის დანაშაულებრივი სქემა, რომელიც განხორციელდა ამ მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიერ, პრაქტიკულად, ექვემდებარებოდა იმ სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურების კონტროლს, რომელთა დაქვემდებარებაში იყვნენ ეს პირები.

**ჩვენ გვავიწყდება კიდევ ერთი პირი, რომელთა შესახებ არავინ არასოდეს არ საუბრობს და ეს გახლავთ იმ პერიოდის შს მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი, რომელიც, პრაქტიკულად, რუხი კარდინალის სახელით მოიხსენიებოდა და ღმერთმა უწყის, რა ქმედებებს სჩადის, ან რატომ გათავისუფლდა იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც უნდა დაკისრებოდა მას იმ ქმედებების გამო, რომელსაც სჩადიოდა იმ პერიოდის შს სამინისტრო. ვსაუბრობ თავდაცვის მინისტრზე, რომელმაც როგორც ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ მესხელი მონაწილეობდა**



ამირან მესხელი

**სხვადასხვა დანაშაულებრივ, კრიმინალურ გარიგებებში, რომელიც სადაზვერვო ქოლგის ქვეშ მიმდინარეობდა და ეს იყო ირაღის უკანონო ვაჭრობა“, – ამბობს ექსპერტი.**

როგორც დავით კუხალაშვილი აცხადებს, ყველა ის დანაშაული, რომელიც უკავშირდება კეზერაშვილის საქმიანობას თავდაცვის სამინისტროში, ჯერ კიდევ დღის სინათლეზე არ არის გამოსული. მისი თქმით, ამ ვითარებაში საინტერესოა, რას აკეთებენ ის სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მნიშვნელოვან ანალიტიკურ და აგენტურულ-ოპერატიულ საქმიანობაზე თავდაცვის სამინისტროში.

„აქედან გამომდინარე, ყველა ის ქმედება, რომელიც ჩადენილია საქართველოში, ალბათობის მაღალი ხარისხით, ექვემდებარებოდა უცხო ქვეყნების სადაზვერვო კონტროლს, რომ შემდეგ ამ ადამიანებმა მიიღეს თავშესაფარი და მარტივად გადაადგილდებიან უცხო სახელმწიფოებში და ამას ჰქვია სადაზვერვო ბლოკი. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები, რომლებმაც ასევე თავშესაფარი იპოვეს უცხო სახელმწიფოებში და მათ შორის მაღალ თანამდებობებზეც კი აგრძელებენ საქმიანობას საქართველოს ინტერესების საზიანოდ...

**ლიკა ბერიკაშვილი FOR.GE**



# მოღალატე ოპოზიციას ბუმერანგი აშინებს

## ვინ შეიძლება შეუქმნას „ქართულ ოცნებას“ კოალიცია?!

**ოპოზიციაში ღალატის შიშმა დაიბუდა – მელია-გვარამიას კოალიცია „ცვლილებებისთვის“ გამოვიდა ინიციატივით, რომ არჩევნების შემდეგ, მთავრობის ფორმირების პროცესში „ქართულ ოცნებასთან“ არ ითანამშრომლებენ და ეს ყველა ოპოზიციურმა პარტიამ ხელმოწერით უნდა დაადასტუროს. კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ლიდერების თქმით, მომავალი მთავრობა იქნება ქართველი ხალხის ნების, პროდასავლური ოპოზიციის კოალიციური მთავრობა. აღნიშნულს იზიარებს პლატფორმები „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ და „ძლიერი საქართველო“, ხოლო „გახარია საქართველოსთვის“ აცხადებს, რომ მათთვის წითელი ხაზია, როგორც „ქართული ოცნება“, ისე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.**

„ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პაატა მანჯგალაძე კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ინიციატივას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ არჩევნების შემდეგ მთავრობის ფორმირების პროცესში „ქართულ ოცნებასთან“ მათი კოალიციიდან არც ერთი წარმომადგენელი არ ითანამშრომლებს. მეტიც, „თუ ვინმეს სჭირდება დედის დაფიცება იმის გამო, რომ „ქართულ ოცნებასთან“ არ გავაკეთებთ კოალიციას, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ“.

ანალიტიკოსთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ დასჭირდება კოალიციის შექმნა, რადგან მისი რეიტინგი მაღალია, ხოლო ნაწილი თვლის, რომ კოალიციის შემთხვევაში, შეიძლება კონკრეტული ოპოზიციური ძალები წავიდნენ ამაზე.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ამბობს, რომ დღეს არჩევანი კეთდება მშვიდობასა და ომს შორის – ეს კი, ქართველ ხალხს ძალიან კარგად ესმის. მისი შეფასებით, მმართველი პოლიტიკური გუნდი სულ მცირე 75%-ს აიღებს.

**„ქართულ ოცნებას“ არავითარი კოალიცია არ სჭირდება – ის არის ყველაზე რეიტინგული ძალა დღევანდელ საქართველოში. ამ რეიტინგის განმაპირობებელი ის არის, რომ „ოცნებამ“ შეძლო 2012 წლიდან დღემდე ქვეყნის მოყვანა ომის გარეშე, მან შეძლო ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება. არ ვამბობ, რომ „ოცნება“ ფრთიანი ანგელოზებითაა სავსე, მაგრამ იმის ფონზე, რაც**



**თანამედროვე მსოფლიოში და რეგიონშია შექმნილი, ეს არის საუკეთესო გუნდი, რომელიც 60%-ზე მეტს აიღებს. ამიტომ, მელიას, გვარამიას და სხვა უბადრუკების მსჯელობა არასწორია, თითქოს „ოცნებას“ ვინმესთან გაერთიანება სჭირდება“...**

იმის შესახებ საუბარი, თითქოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ბიძინა ივანიშვილის „პროექტი 2“ არის, არასწორია. გვენეტაძის შეფასებით, გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ საპარლამენტო არჩევნებში 5%-იან ბარიერს ვერ გადახალავს.

**„გახარია არ შეიძლება იყოს ივანიშვილის „პროექტი 2“, რადგან მან ჩაიდინა სახელმწიფო მოღვაწის და სახელმწიფოს პირველი პირისთვის შეუფერებელი საქციელი – მან აბსოლუტურად გაუწონასწორებელი გადადგომით, ქვეყანა დააყენა საფრთხის წინაშე. ის ქვეყანას ისეთ საშინელ ძალას უტოვებდა, როგორიც არის კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. გახარია მიიღებს იმას – ვიმეორებ: რასაც მიიღებს – ის და მისი პარტია 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავს.**

**ქართველი კაცი გონიერია – ის ძალიან კარგად ხედავს იმ პროცესებს, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს არის არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის – ომმა რა მოუტანა ჩვენს მეგობარ უკრაინას, თვალნათელია. გამოცდილი მაქვს ომის მთელი უბედურება ამ 33 წლის განმავლობაში. აქედან მშვიდობა გვაღირსა მხოლოდ და მხოლოდ 2012 წელს მოსულმა ხელისუფლებამ, რომელსაც ერთი სანტიმეტრი მიწაც კი არ დაუკარგავს და რომელსაც ომი არ ჰქონია. კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიცია კი არ არის, ესაა წმინდა წყლის მეხუთე კოლონა, რომელიც გარედან იმართება – ხელს ითბობს იმ ომებზე, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს. „ქართული ოცნება“ სულ მცირე 75%-ს აიღებს“,** – დასძინა ედიშერ გვენეტაძემ.

„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის"თავმჯდომარის, თინა ბოკუჩავას განაცხადებით, „კოალიცია ცვლილებისთვის“ ინიციატივა, რომ არჩევნების შემდეგ მთავრობის ფორმირებაში ბიძინა ივანიშვილთან და „ქართულ ოცნებასთან“ არ ითანამშრომლებენ, მათთვის მისაღებია. მისივე თქმით, ასეთი დოკუმენტები წარსულშიც იყო და „ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის ხელს აწერდა.

**„ერთიანობა– ნაციონალური მოძრაობა“ არის მთავარი ოპოზიციური ძალა და ბოლო 12 წლის განმავლობაში ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგობის ავანგარდში იყო, არის და იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციური პარტნიორები, ასევე იქნებიან სხვა პრო-**



**დასავლური პარტიები და ნებისმიერი წინასაარჩევნო განაცხადი იმასთან დაკავშირებით, რომ არც ერთი პარტია არ შეუქმნის ბიძინა ივანიშვილს მთავრობას, მისაღებია.**

**ვფიქრობ, თუ ამგვარი კითხვები არსებობს, სავარაუდოდ, ამ კითხვების სამიზნე სხვა პარტიები არიან, თუმცა ვერ გეტყვით, ამ ინიციატივას კონკრეტულად არ ვიცნობ და მას შემდეგ, რაც დეტალები მეცოდინება, ალბათ, უკეთესად შემეძლება ამაზე საუბარი. ასეთი დოკუმენტები წარსულშიც იყო და ყოველთვის ხელს ვაწერდით“,** - განაცხადა ბოკუჩავამ.

**ნიკო ჩოხელი, FOR.GE**

## ანრი ოხანაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ ისტორიული მარცხის წინაშეა!

**საარჩევნო** სიაში ადამიანების შერჩევა მოხდა მათი პატრიოტიზმით, გამორჩეული უნარებით, წარმატებული კარიერით, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა განაცხადა.

**„თითოეული ჩვენგანისთვის „ქართული ოცნების“ გუნდში ყოფნა პატივია, რადგან ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით და ხალხთან ერთად უზრუნველვყოფთ ქვეყნის მშვიდობიან, სტაბილურ განვითარებას. პატივია, რთული გამოწვევების ფონზე ემსახურო საკუთარ ქვეყანას და უზრუნველყო ღირსებით სვლა ევროპისკენ. საარჩევნო სიაში ადამიანების შერჩევა მოხდა მათი პატრიოტიზმით, გამორჩეული უნარებით, წარმატებული კარიერით. ბულინგს რაც შეეხება, არაკორექტულ და ფაშისტურ განცხადებებს ვინც აკეთებენ, თავის თავს არ ეკუთვნიან – აჟღერებენ იმას, რასაც მათი პატრონები ავალებენ. ამიტომ, ეს ვერავისთვის შეურაცხმყოფელი ვერ იქნება. რეალური სახის დემონსტრირებას ახდენენ. ხედავთ, რა მორალი აქვთ და რა შეფასებებს აკეთებენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს არ ეკუთვნიან და ჩვენი ქვეყნის ინტერესებში კი არ დგანან, უცხოელი პატრონების დავალებებს ასრულებენ. საზოგადოება ამ ყველაფერს 26 ოქტომბერს წერტილს დაუსვამს.**



**„ნაციონალური მოძრაობა“ ისტორიული მარცხის წინაშეა და ისტორიულად ნაკლებ შედეგს აიღებენ. ეს იციან და ამიტომ არიან სასოწარკვეთილებაში. სწორედ ამიტომ, ისინი არა არჩევნებისთვის, არამედ შემდგომი პროცესებისთვის ემზადებიან“7**



# რამდენს გაუძლებს რუსეთის გადახურებული ეკონომიკა?!

**რუსეთის ხელისუფლება თავს იწონებს ეკონომიკის ზრდით, უმუშევრობის მაჩვენებლის თითქმის განულებით, მოქალაქეების ე.წ. რეალური შემოსავლების მატებითა და ინფლაციის მოთოკვით.**

**თუმცა, თვითონ რუსეთის ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდშივე შეშფოთებულები არიან ბოლო 20 წლის განმავლობაში ეკონომიკის გადახურების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით, რამაც შეიძლება ეკონომიკის სრული კოლაფსი გამოიწვიოს.**

**რა პრობლემები იმალება რუსეთის ეკონომიკის ზრდის უკან?**

**რამ შეიძლება დაანგრიოს რუსეთის ეკონომიკა?**

**რა დრო რჩება კრემლს?**

## რა არის ეკონომიკის გადახურება?

**რუსეთის პრეზიდენტი შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ ნიშნის მოგებით არ ილაპარაკოს რუსეთის ეკონომიკის წარმატებებზე**

**„რუსეთი უკვე მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით. რუსეთის ეკონომიკის მოცულობამ გადაუსწრო ევროპის წამყვან ეკონომიკას – გერმანიას, იაპონიას, საფრანგეთს და ა.შ. – მათ აქვთ ბევრი უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა, ეს უპირატესობა დაკავშირებულია სტრუქტურასთან, მაღალტექნოლოგიურ სექტორთან და ა.შ. მაგრამ ეკონომიკის მოცულობას ასევე აქვს მნიშვნელობა, რადგან იძლევა რესურსების დაბანდების შესაძლებლობას ყველაზე პერსპექტიულ ინდუსტრიებსა და მიმართულებებში“,** – განაცხადა ვლადიმირ პუტინმა 5 სექტემბერს ვლადივოსტოკში აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე.

რუსეთის ფინანსთა მინისტრი **ანტონ სილუანოვიც**, მიუხედავად იმისა, რომ სურსათი და ბენზინი ძვირდება, მაინც მოსახლეობის გამდიდრებასა და რუსეთის ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებზე ლაპარაკობს. მისი თქმით, რუსეთის მოქალაქეების შემოსავალი და ცხოვრების დონე წლიდან წლამდე იზრდება:



**„ვხედავთ, რომ ეკონომიკა ვითარდება იმაზე მაღალი ტემპით, ვიდრე მოლოდინი გვქონდა როგორც ჩვენ, ასევე ექსპერტებს. 2024 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ზრდის დინამიკამ შეადგინა 4.7%. ვხედავთ, რომ იზრდება ინვესტიციები. მოსახლეობის რეალური შემოსავლები გაიზარდა 8%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა ვითარდება მათ შორის იმ საბიუჯეტო სტიმულების ხარჯზე, რომლებიც გამოვიყენეთ როგორც წინა წლებში, ასევე მიმდინარე წელს“.**

ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის მკვლევარ **ალექსანდრ კოლიანდრის** არ სჯერა, რომ როსსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფლაციის მაჩვენებელი (6.8% - 2024 წ. აგვისტო) სინამდვილეს ასახავს.

„რუსეთში ინფლაცია მაღალია, აქ სალაპარაკოც არაფერია, - უთხრა მკვლევარმა „რადიო თავისუფლების“ რუსულ სამსახურს, - ეს გამოწვეულია, პირველ რიგში, სახელმწიფო ხარჯებით, რაც იწვევს ხელფასების გამალებულ ზრდას სამუშაო ძალის დეფიციტის ფონზე. ეს ასევე გამოწვეულია შეღავათიანი დაკრედიტებით, რომელიც ძალიან გაიზარდა, განსაკუთრებით უკრაინაში შეჭრის შემდეგ. ამიტომ, ცენტრალური ბანკი ცდილობს, რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის აწევით შეამციროს ინფლაცია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს უკიდურესად რთული იქნება. ვიდრე იქნება უზარმაზარი საბიუჯეტო ხარჯები, ვიდრე გაიცემა დიდი რაოდენობით შეღავათიანი კრედიტები (ასევე სახელმწიფოს, ბიუჯეტის ხარჯზე), ინფლაციის პრობლემაც იარსებებს“.

რუსეთის ცენტრალური ბანკი აცხადებს, რომ ინფლაციის მოსათოკად აპირებს რეფინანსირების განაკვეთის გაზრდას 20%-მდე, თუმცა ალექსანდრ კოლიანდრის თქმით, მხოლოდ რეფინანსირების განაკვეთის აწევით, ძნელი იქნება ფასების ზრდასთან გამკლავება.

**„რუსეთის მთავრობამ ასევე უნდა შეამციროს შეღავათიანი დაკრედიტება, განსაკუთრებით თავდაცვის საწარმოებისთვის, მაშინ ამგვარი ერთობლივი ძალისხმევა ხელს შეუწყობს ფასების ზრდის შეჩერებას. მაგრამ ჯერჯერობით, ფასების მატება გამოწვეულია ზუსტად ბიუჯეტის გაზრდილი ხარჯებითა და ხელფასების გამალებული ზრდით. 2024 წლის ივლისში უმუშევრობა ისტორიულად ყველაზე დაბალ დონეზე იყო - 2.4%. არადა, რუსეთში უმუშევრობის საშუალო დონე, ე.წ. ბუნებრივი დონე, რომლის დროსაც ეკონომიკა მუშაობს გადახურების გარეშე, 4%-ზე ცოტა მეტია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთს უბრალოდ არ ჰყოფნის მუშახელი, რომელზეც მოთხოვნა გაზრდილია როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. სპეციალისტებისათვის ბრძოლის მთავარი იარაღი კი მხოლოდ და მხოლოდ რუბლია, ვინ მეტს გადაიხდის“, – ამბობს ალექსანდრ კოლიანდრი.**

## „რუსეთის ეკონომიკას ჩამოაქცევს გაჭიანურებული ომი“

**„ომის მონაწილეები და იმპორტის ჩანაცვლების სფეროში დასაქმებული ადამიანები ჩამოყალიბდნენ რუსეთის ახალ საშუალო კლასად. ეს ფენა იქცა ლიდერად ხელფასების მოცულობის მიხედვით“, – ასეთ დასკვნამდე მიდიოდნენ მაკროეკონომიკური ანალიზისა და მოკლევადიანი პროგნოზირების ცენტრის თანამშრომლები.**

ეკონომისტების თქმით, მოქალაქეების შემოსავლების ზრდაზე, რითაც თავს იწონებს რუსეთის მთავრობა, გავლენას ახდენს კონტრაქტით დაქირავებული სამხედროების ხელფასების მკვეთრი და განუხრელი ზრდა. რუსეთის ფინანსთა მინისტრი არაფერს ამბობს იმაზე, რომ შემოსავლების ზრდა იმის გამო, რომ ქვეყნის მოქალაქეების დიდმა ნაწილმა ომში წასვლა და ხალხის დახოცვა გადაწყვიტა, სტაბილურ ეკონომიკურ ფაქტორად ვერ ჩაითვლება.

**„რუსეთის მთავრობას ყველაფერი კარგად ესმის, მაგრამ ისინი ომს არასოდეს უწოდებენ ომს. ისინი არასოდეს იტყვიან, რომ პრეზიდენტის პოლიტიკის, სანქციების, ეკონომიკური ბლოკადის, ფულის საბეჭდი დაზგის მუშაობისა და ომის არანორმალური ხარჯების გამო, უკვე მესამე წელია, მიმოქცევაში არსებული ფულის მასა იზრდება 22-25%-ით, რომ ომის დაწყებიდან ფულის მოცულობა 65%-ზე მეტით გაიზარდა, წელს მან უკვე გადააჭარბა 104 ტრილიონ რუბლს. მთელი ფულის მასა გაიზარდა თითქმის 50 ტრილიონი რუბლით, მაშინ როცა სასაქონლო მასა საერთოდ არ გაზრდილა. ჩვენ ახლა ჩინეთის ნედლეულის კოლონია ვართ, რუსეთის ვაჭრობის 45% ჩინეთზე მოდის. ეს ყველაფერი არის არაუზრუნველყოფილი ფული, რომელიც იჭრება, იფლანგება და იხარჯება დაქირავებული ჯარისკაცების ხელფასებსა და სხვა გადასახდელებზე“, – ამბობს ეკონომისტი ვლადისლავ ჟუკოვსკი, რომლის თქმითაც, კრიტიკას ვერ უძლებს როსსტატის მტკიცება, რომ რუსეთის ეკონომიკაში ყველაფერი კარგადაა:**

**„როსსტატი წერს, რომ თურმე რუსეთში კრიზისი არ არის; თურმე ნომინალური ხელფასები 18%-ით გაიზარდა წლის პირველ ნახევარში. ხელოვნურად დაწეული 9%-იანი ინფლაციის პირობებში ე.წ. რეალური ხელფასი 9.5%-ით გაზრდილა. თუ ანგარიშში არ მივიღებთ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ომთან, ძალოვან სტრუქტურებსა და სამთავრობო უწყებებთან, მაშინ რეალური ხელფასი ორჯერ ნაკლები გამოვა. ამასთან, ვინც ფულს იღებს, ის ეგრევე გარბის დასახარჯად, რადგან მშვენივრად ესმის, რომ ფასები უკვე 71.5%-ით გაიზარდა“.**

## გაძლებს 2-5 წელი...

**ჟურნალმა Fortune-მა ამ დღეებში გამოაქვეყნა სტატია, „რუსეთის მშპ-ს ზრდის უკან ეკონომიკური კატასტროფა ილანდება“, რომლის ავტორები არგუმენტებით ასაბუთებენ იმას, რომ მდგრადი რუსული ეკონომიკის ხატი ხელოვნურადაა შექმნილი და, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ უზარმაზარი თანხების სამხედრო ხარჯებზე მიმართვა მძიმე მდგომარეობაში აგდებს რუსეთის ეკონომიკას.**

**„რუსეთის მთავრობა, ომის დასაფინანსებლად, გადასახადებს უწესებს ნავთობკომპანიებს, ზრდის გადასახადებს და თავისი ქმედებებით ხელს უწყობს ინფლაციას. ეროვნული კეთილდღეობის ფონდის ამოწურვა, ასიათასობით განათლებული რუსის გაქცევა საზღვარგარეთ და ინვესტიციებსა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის შემცირება გარდაუვალად გამოიწვევს რუსეთის ეკონომიკის მინიმუმ ხანგრძლივ დაცემას“, – ამბობს „რადიო თავისუფლების“ რუსულ რედაქციასთან საუბარში Fortune-ში გამოქვეყნებული სტატიის ერთ-ერთი ავტორი ტიმოფეი მილოვანოვი, რომლის თქმითაც, რუსეთის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს რამდენიმე ფაქტორი:**



**„მაღალი ინფლაცია, ეკონომიკის ზრდა არასასაქონლო ინვესტიციებით, ისეთი ე.წ. ბუფერების შემცირება, როგორიცაა მაგალითად ეროვნული კეთილდღეობის ფონდი. ასევე ის, რომ თავად სახელმწიფო არ არის მზად გაიღოს მნიშვნელოვანი თანხები იმ ადამიანების მხარდასაჭერად, რომლებიც ძალიან დაზარალდნენ. მაგალითად, კურსკელი დევნილები, მათთვის გამოყოფილი 10 ათასი რუბლი (113$) სასაცილოდ მცირე თანხაა“.**

საიდან იღებს რუსეთის მთავრობა იმ უზარმაზარ თანხებს, რომლებიც ომის წარმოებას სჭირდება და რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს?

**„ერთმანეთისგან გასამიჯნია ცოცხალი ფულის ხელმისაწვდომობა და ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა, - ამბობს ეკონომისტი, - ლიკვიდურობის წყარო ძირითადად ნავთობის გაყიდვიდან მიღებული ფულია. რუსეთში გროვდება შიდა პრობლემები. როგორც 80-იანი წლების საბჭოთა კავშირში იყო: პრობლემები დაგროვდა, მაგრამ ის განაგრძობდა არსებობას. საჭირო იქნება რაიმე სახის ტრიგერი ან შოკი, ფუნდამენტური ტრიგერი, მაგალითად, ნავთობის ფასის დაცემა ან სერიოზული პოლიტიკური არასტაბილურობა. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეკონომიკა ჩამოიშლება. კრიზისი ახლოვდება იმის გამო, რომ ეკონომიკის მდგომარეობა უარესდება. ვფიქრობ, სტრუქტურული პრობლემები გამოფიტავს რუსეთის ეკონომიკას, მაგრამ თუ მაკროეკონომიკური ვითარება შეიცვლება, მსოფლიოში დაეცემა მოთხოვნა საქონელზე ან ძლიერი გლობალური რეცესია დაიწყება, მაშინ, რა თქმა უნდა, რუსეთი ჩამოიშლება და ძალიან სწრაფად“.**

ტიმოფეი მილოვანოვი, ანალიზის საფუძველზე აკეთებს პროგნოზს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოელის რუსეთის ეკონომიკას უახლოეს მომავალში:

**„მე იმ ეკონომისტთა ბანაკში ვარ, ვინც ფიქრობს, რომ ძლიერი შოკი, განსაკუთრებით გლობალური მაკროეკონომიკური შოკი, იმის გამო, რომ რუსეთის ეკონომიკა ავადაა, გამოიწვევს კრიზისს, რომელიც შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ მომენტში. ვფიქრობ, რომ პუტინს აქვს ორიდან ხუთ წლამდე - ესეც იმ დაშვებით, რომ ის იმყოფება იახტაზე, რომელიც იძირება, მაგრამ არ მძვინვარებს შტორმი და ხერხდება წყლის ამოხაპვა, მოკლედ იმ პირობით, რომ არ იქნება არანაირი გლობალური რყევები, არ იქნება ნავთობის ფასების ძლიერი ვარდნა, არ იქნება რეცესია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ.“**

## ეკონომიკის გადახურება

**რუსეთის ეკონომიკას რომ პრობლემები აქვს, ამას არც რუსეთის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და სბერბანკის მმართველი, პუტინის ეკონომიკური გუნდის გამორჩეული წევრი გერმან გრეფი უარყოფს. რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 5 სექტემბერს აღმოსავლეთ ეკონომიკურ ფორუმზე გრეფმა განაცხადა:**

რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა **ელვირა ნაბიულინამაც** 2024 წლის ივლისის ბოლოს განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიკის გადახურების მასშტაბებმა მაქსიმუმს მიაღწია ბოლო 16 წლის განმავლობაში.

„ამაზე მაღალი მხოლოდ 2008 წლის კრიზისის წინ იყო“, – თქვა რუსეთის მთავარმა ბანკირმა.



გაგრძელება მე-8 გვ.



# „დიდუბის პანთეონი" – წიგნი უკვდავებისა და სიცოცხლის მშვენიერებისა







**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით სამინისტროს განახლებულ სააქტო დარბაზში 10 სექტემბერს ბადრი ქუთათელაძის წიგნის – „დიდუბის პანთეონის" პრეზენტაცია გაიმართა.**

თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე ბადრი ქუთათელაძე არაერთი ცნობილი პოეტური კრებულისა და შემეცნებითი სახის ალბომის ავტორია, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ქართველ მკითხველში.

წიგნი „დიდუბის პანთეონი" წარმოადგენს ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომს, დიდუბის პანთეონში დავანებულ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დიდ ქართველ მოღვაწეებსა და ხელოვანებზე, მათ ღვაწლზე, ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში და სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი, როგორც დიდმა მამულიშვილებმა.

წიგნში ასევე აღბეჭდილია პანთეონში დაკრძალულ ქართველ პოეტთა, პროზაიკოსთა, მხატვართა, მოქანდაკეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნიმუშები, უიშვიათესი ფოტომასალა, წერილები და ამონარიდები ქართველ პროზაიკოსთა ნაწარმოებებიდან.

წიგნის სარედაქციო კოლეგიაში შედიან ბატონები როინ მეტრეველი, ვალერი ასათიანი, დავით ანდრიაძე, ემზარ კვიტაიშვილი, ქალბატონები მაყვალა გონაშვილი, მაკა ჯოხაძე.

წიგნს ურედაქტორეს ზაალ ბოტკოველმა და ირინა გოგოლაშვილმა.

წიგნის კურთხევისას მის ღირსებაზე ილაპარაკეს მამა ამირან ამირანაშვილმა, აკადემიკოსმა ვალერი ასათიანმა, ჩვენმა სახელოვანმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მაყვალა გონაშვილმა, ლია სტურუამ, რეზო მიშველაძემ, ერეკლე საღლიანმა, ზაალ ბოტკოველმა, ცნობილმა არქიტეტორმა ვახტანგ დავითაიამ, პარლამენტარმა, ექიმმა და ხელოვანმა ლადო კახაძემ, თბილისის მერის მოადგილემ ანდრია ბასილაიამ.

პრეზენტაციაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

**წიგნის შემდგენელმა ბადრი ქუთათელაძემ დიდი მადლობა გადაუხადა კულტურის სამინისტროს ამ ნაშრომის და სხვა მსგავსი ეროვნული სულისკვეთების პროექტების განხორციელებაში უშურველი მხარდაჭერისა და მატერიალური დახმარებისთვის.**

**წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგის" მიერ და იგი განკუთვნილია როგორც ქართული ყოფით დაინტერესებული მკვლევართათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.**

**რუსუდან ქობულია**

# მოდით და ნახეთ დუშეთის უმშვენიერესი ისტორიული უბანი!



**დუშეთის ცენტრალური, ისტორიული უბნის რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა. 38 შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაცია-მშენებლობა მიმდინარეობს, საიდანაც 33 შენობაზე სამუშაოები უკვე დასრულებულია და დარჩენილი 5 შენობაც წლის ბოლომდე დასრულდება. ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა იქნა გაწეული, როგორც არქიტექტორების, რესტავრატორების, მშენებლების მხრიდან, ისე მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ დუშეთში მიმდინარე ურბანული განახლების პროექტების დათვალიერების შემდეგ.**

„მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ქალაქ დუშეთის ურბანული განახლების პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის ცენტრალურ პარკს. განახლდა პარკის დაზიანებული ინფრასტრუქტურა, მოეწყო შადრევანი, სანიაღვრეები და საკანალიზაციო სისტემა, ჩატარდა პარკის გამწვანების სამუშაოები. პროექტის მეორე ეტაპის ფარგლებში, დასკვნით ეტაპზეა დუშეთის ცენტრალური, ისტორიული უბნის განახლება. უკვე დასრულებულია 33 სახლის, უმეტესად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, რეაბილიტაცია-რესტავრაცია. გრძელდება 5 სახლის, მათ შორის, იმ ისტორიული სასამართლოს შენობისა და სახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, სადაც მსახურობდა და ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე.



„აქ არის როგორც არქიტექტურულად გამორჩეული, ისე შინაარსით მნიშვნელოვანი შენობები – ილიას დუშეთში მოღვაწეობის დროინდელი სასამართლო და საცხოვრებელი სახლი, ძველი აფთიაქის, ბანკის შენობები, ეგრეთ წოდებული სამიკიტნოების უბანი. პროექტის განვითარების შედეგად, დუშეთის პოტენციალი ტურისტული თვალსაზრისით კიდევ უფრო გაიზრდება და მეტი განვითარების შესაძლებლობებს გააჩენს,"- აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

მინისტრის თქმით, განახლებული შენობების კერძო მესაკუთრეებს უკვე აქვთ სასტუმროს და ტურისტული დანიშნულების სხვა ობიექტის განვითარების კონკრეტული გეგმები. დუშეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია ღირსშესანიშნაობებით და მათი სრული სპექტრით გამოყენებას და ტურისტული ნაკადების მოზიდვას ურბანული განახლების ასეთი მასშტაბური პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

„დუშეთის ისტორიული უბნის ურბანული განახლების პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტისა და მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 19.2 მილიონი ლარია" – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თბილისის საარქივო ფილმების მე-3 საერთაშორისო ფესტივალი



**17-20 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი თბილისის საარქივო ფილმების მე-3 საერთაშორისო ფესტივალს გამართავს. ეროვნული არქივის ინფორმაციით, ნაჩვენები იქნება 14 ქვეყნის კინოინდუსტრიის პროგრამა.**

2024 წლის ფესტივალის თემაზე „კინო – ისტორიის მემატიანე" ქართველ მაყურებელს საკუთარ ფონდებში დაცულ ფილმებს წარუდგენენ: აშშ-ის, ჩეხეთის, მალტის, ესპანეთის, პორტუგალიის, გერმანიის, ხორვატიის, პოლონეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, პერუს, მოლდოვას კინოსაარქივო ორგანიზაციები.

„კინოფესტივალი 2024 წლის 17 სექტემბერს ეროვნული არქივის კინოდარბაზში გაიხსნება გიორგი შენგელაიას ფილმით – „ალავერდობა" (1962 წელი), რომლის ცენზურამდელი ვერსია ეროვნულ არქივს რამდენიმე თვის წინ გადაეცა. პირვანდელი სახით ფილმი შემონახულია კინოფირზე, რომელიც რეჟისორის ოჯახში ინახებოდა.

კინოფესტივალი დაიხურება ქართული პროგრამის მეორე ფილმით, ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხლით" (1975 წელი). ფილმს საქართველოს ეროვნული კინოცენტრი წარადგენს. ჩვენება მსახიობ დოდო აბაშიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს მიეძღვნება.

წლევანდელი კინოფესტივალის სიახლე იქნება პანელური დისკუსია, რომელზედაც სხვადასხვა ქვეყნის კინოინდუსტრიების წარმომადგენლები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებასა და შეხედულებებს კინოარქივების მნიშვნელობასა და ამ სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ. დისკუსიის თემაა: კინო, როგორც კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული იდენტობა და სოციალური კონტექსტი.

საქართველოს ეროვნულმა არქივმა თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 2022 წელს დააფუძნა.

დასწრება თავისუფალია, ფილმები ნაჩვენები იქნება ორიგინალ ენაზე, ინგლისური სუბტიტრებით".




# რამდენს გაუძლებს რუსეთის გადახურებული ეკონომიკა?!

**მეექვსე გვერდიდან**

**რუსი** ანალიტიკოსი და ბლოგერი **მაქსიმ კაცი** რუსეთის ეკონომიკის გადახურებაზე საუბრისას ამბობს, რომ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს არსებობს რუსეთის ორი ეკონომიკა:

**I ცენტრალური ბანკის ბიულეტენში არსებული, რომელიც საშინელ მდგომარეობაშია გადახურების გამო.**

**II - მომხმარებლების შეგრძნებებში არსებული, რომელშიც ყველაფერი იზრდება: ბიზნესი, ხელფასები, უმუშევრობა თითქმის ნულზეა, ვისაც არ ეზარება, ყველა ქაფავს ფულს.**

**„საქმეც ისაა, რომ შეგრძნებების ეკონომიკა შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს რეალურისგან“**, – ამბობს თავის იუთუბარხზე მაქსიმ კაცი, რომლის თქმითაც, რუსეთის დღევანდელი ეკონომიკის ყველაზე დიდი და მზარდი სექტორი ომია:



**„ამ სექტორში ადამიანები იღებენ ხელფასს. ეკონომიკისთვის ეს ადამიანები არაფრით განსხვავდებიან პენსიონერებისგან: იღებენ ფულს რომელიღაც სოფლის აღებისთვის, ან ტანკის წარმოებისთვის, რომელიც ასევე სოფლის ასაღებად გამოიყენება... ისინი არ ქმნიან არანაირ საბაზრო შეთავაზებას, არანაირ დამატებით ღირებულებას. ბარმენი ჭიქა ვისკის ჰყიდის ბოთლის ფასად ანუ ათჯერ უფრო ძვირად, მაგრამ ასობით მილიონი ადამიანი მსოფლიოში ფიქრობს, რომ ეს კარგი გარიგებაა, ბარები სავსეა, რადგან ბარმა და ბარმენმა უბრალოდ ვისკი კი არ დაგისხეს, არამედ შეგიქმნეს ატმოსფერო. ბარი და ბარმენი ქმნიან დამატებით ღირებულებას, რასაც ხალისით იხდიან ადამიანები. თუ სახელმწიფო გააქრობს ბარში შექმნილ ყველა პირობას, რაც მომხმარებელს მოსწონდა, მაგრამ ბარმენს დაუნიშნავს დიდ ხელფასს, ბარში აღარავინ ივლის, არანაირი დამატებითი ღირებულება აღარ შეიქმნება, ბარმენი კი იქცევა სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფ პენსიონერად. ეკონომიკისთვის სულერთია, 200 ათას რუბლს არაფრის გამო მოგცემენ თუ მოგცემენ ტანკის წარმოებისთვის, რადგან ეს ტანკი არ იყიდება ბაზარზე, არ ქმნის საბაზრო შეთავაზებას, ტანკი არ წავა მინდვრების მოსახნავად და არ გაზრდის ხორბლის მოსავალს, არ აქცევს ხორბალს ფქვილად და არ შექმნის დამატებით ღირებულებას. ტანკი არ არის წარმოების საშუალება. სახელმწიფომ საბიუჯეტო ფულით შექმნა ტანკი, რომელიც ერთი თვის თავზე დაიწვა რომელიღაც ჩასივიართან. ამ დროს სახელმწიფომ დააფინანსა მთელი ჯაჭვი: მადნის მოპოვებიდან დაწყებული ტანკის შეღებვით დამთავრებული, ეკონომიკური სარგებელი კი ნულია. ეკონომიკას უკან არაფერი უბრუნდება. ეკონომიკისთვის სულერთია, ამ ჯაჭვში ჩართული ადამიანები როგორ მიიღებენ ფულს, მუშაობით თუ მუშაობის გარეშე, ეფექტი ერთნაირია“.**

მაქსიმ კაცის თქმით, 2,5 მლნ რუბლს უხდიან მოსკოვში მცხოვრებ მოქალაქეს იმისთვის, რომ მოკლას ვინმე ან თვითონ მოკვდეს:

„ეკონომიკისთვის ეს ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც რაღაც ღირებულებას ქმნიდა, ამოიღეს ეკონომიკიდან, მისცეს ფული და მისი ადგილი დატოვეს ცარიელი, რომლის შევსება კიდევ უფრო ძვირი დაჯდება. გამოდის, ეს ადამიანი გაიყვანეს პენსიაში, ანუ ახალგაზრდა შრომისუნარიანი ადამიანი აქციეს ძვირადღირებულ პენსიონერად“.

## რა არის ეკონომიკის გადახურება?

**რუსეთში ბოლო წლების განმავლობაში უჩვეულოდ გაიზარდა უძრავი ქონების ბაზარი. მშენებლობა დაიწყო ისეთ რაიონებში, სადაც სახლების ფასი ყოველთვის დაბალი და, შესაბამისად, არამომგებიანი იყო, მოთხოვნილება კი გაიზარდა იმის მიუხედავად, რომ ამ ადგილებში არც ახალი სამუშაო ადგილები შექმნილა და არც რომელიმე დიდი კომპანია გადასულა. როგორც მაქსიმ კაცი ამბობს, არც „მერსედესს“ გაუხსნია ქარხანა და არც „მაიკროსოფტს“ – ოფისი.**

„სამშენებლო კომპანიების მთელი სტრატეგია ეფუძნება იმას, რომ ამ ადგილებში (ქალაქებში, რაიონებში) „პენსიონერების“ რაოდენობა გაიზრდება, რომ ყოველდღე ომში წასვლის კონტრაქტს გააფორმებს ადამიანების გარკვეული რაოდენობა, ოჯახების გარკვეული რაოდენობა კი მიიღებს ფრონტზე დაღუპულის კომპენსაციას, რომელიც ბინების შეძენაზე დაიხარჯება. ვინ იყიდის ამ ბინებს, თუ ეკონომიკა დაუბრუნდება თავის ნორმალურ მდგომარეობას? – ამ კითხვაზე სამშენებლო კომპანიებს პასუხი არა აქვთ. ახლა რასაც 2-3 მლნ რუბლად ჰყიდიან, ორი წლის წინ არავის უნდოდა. ამაში მდგომარეობს გადახურების არსი“, – ამბობს **მაქსიმ კაცი**, რომლის თქმითაც, ომის ეკონომიკის მიერ გაცემული სახელმწიფო ფული ქმნის სამუშაო ადგილებს, რომლებიც საბიუჯეტო ფულის გამოლევის ან ომის დამთავრებისთანავე გაქრობისთვისაა განწირული:

**„განა ნორმალურია, როცა რესტორნები იხსნება იმის გამო, რომ დასახლებაში გაჩნდნენ ქვრივი ქალები, რომლებსაც საბანკო ანგარიშებზე ქმრების დაღუპვის გამო სახელმწიფომ თანხები ჩაურიცხა? ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება! როდემდე შეძლებს ქვეყანა, ეკონომიკიდან ამოიღოს შრომის რესურსები, საწარმოო სიმძლავრეები და გადაიტანოს არამწარმოებლურ სექტორში, რომელიც ქმნის ხელოვნურ და ჭარბ მოთხოვნას. რამდენ „პენსიონერს“ აიტანს ქვეყანა? თუ ომი გაგრძელდება, რაც დრო გავა, მით უფრო გაიზრდება გადახურების მასშტაბი, რადგან დროთა განმავლობაში სულ უფრო გაიზრდება როგორც „პენსიონერებისთვის“ გადასახდელი თანხა, ასევე ისეთი საქონლის წარმოება (ან შეძენა), რომლებიც არ ქმნიან დამატებით ღირებულებას და, როგორც წესი, განადგურებისთვის არიან განწირული. ადრე თუ 200 ათასად მიდიოდნენ ომში, ახლა 2 მლნ-ს და მეტს იხდიან. ეს თავის მხრივ იწვევს მოთხოვნის ხელოვნურად გაზრდას, რაც იწვევს ფასებისა და, შესაბამისად, ინფლაციის გაზრდას, რაც სახელმწიფოს უბიძგებს კიდევ უფრო მეტი ხარჯების გაწევისკენ. ამ პროცესს, სანამ ომი გრძელდება, დასასრული არა აქვს.“**


ვლადიმერ პუტინი ურალის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში

## რა იქნება?

**მაქსიმ კაცის თქმით, რაც უფრო გადახურებულია ეკონომიკა, მით უფრო რთული იქნება მისი ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნება. ბიუჯეტს არ შეუძლია ამდენი კვაზიპენსიონერის შენახვა.**

„შეიძლება ამოიწუროს რეზერვები, დაეცეს ნავთობის ფასი... თუ რუსეთის მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ამ ტიპის ხარჯების განუხრელად ზრდას, გადახურებული ეკონომიკა შეიცვლება ეკონომიკური კრიზისით: დაიხურება დრონების ქარხნები, მოსახლეობა ვერ გადაიხდის კრედიტებს და უმუშევრობის დონეც მკვეთრად მოიმატებს. ნამდვილი ეკონომიკა ვერ გაუმკლავდება ამდენ „პენსიონერს“. არა მხოლოდ სამხედრო ქარხნების პერსონალი დარჩება უმუშევარი, არამედ მასთან მიბმული მთელი რიგი სფეროების, მათ შორის მომსახურებისა. ყველა შეწყვეტს ბინების ყიდვას, კრედიტების დაფარვას. ყველაფერი დასრულდება ან საბანკო კრიზისით, ან ფულის ბეჭდვითა და ჰიპერინფლაციით, რადგან რუსეთში თითქმის ყველა ბანკი სახელმწიფოს საკუთრებაშია“, - ამბობს მაქსიმ კაცი.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**
**„რადიო თავისუფლება“**

## დიდმა ბრიტანეთმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა

**გაერთიანებულმა სამეფომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა. კერძოდ, ბრიტანეთმა სანქციების სიას კიდევ 10 რუსული გემი დაამატა.**

გაერთიანებული სამეფოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით, აღნიშნული გემები, ჩართულები არიან იმ საქმიანობაში, რომლის მიზანია უკრაინის დესტაბილიზაცია და საფრთხეს უქმნის მის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.




ლონდონში აცხადებენ, რომ გემებს რუსული წარმოშობის ნავთობი და ნავთობპროდუქტები მესამე ქვეყნებში გადააქვთ.

## უკრაინას 1,1 მილიარდ დოლარს გამოუყოფენ

**საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და უკრაინის მთავრობამ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ფონდი ქვეყანას 1,1 მილიარდი დოლარის ოდენობის ფინანსურ დახმარებას გამოუყოფს. როიტერის ცნობით, შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს, რაც რამდენიმე კვირაში მოხდება.**

„რუსეთის ომი უკრაინაში ქვეყნისა და მისი ხალხის განადგურებას აგრძელებს. პოლიტიკის კარგმა ფორმირებამ, ადამიანებისა და კომპანიების ადაპტაციამ და აგრეთვე, საიმედო საგარეო დაფინანსებამ, მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას ხელი შეუწყო“, – აცხადებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი გევინ გრეი.

ცნობისთვის, კიევი თავისი ბიუჯეტის დაახლოებით 60% ჯარის დაფინანსებაზე ხარჯავს და დიდწილად დამოკიდებულია დასავლელი პარტნიორების ფინანსურ დახმარებაზე, რათა პენსიები და საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელფასები გასცეს, აგრეთვე დაფაროს სოციალური და ჰუმანიტარული პროგრამები.

## ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნდეს!



**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა და აღნიშნა, რომ ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნდეს.**

„ჩვენი მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი ურყევია. უკრაინისთვის ყირიმის დაბრუნებას საერთაშორისო სამართალი მოითხოვს“, – აღნიშნა მან ყირიმის პლატფორმის ლიდერების მეოთხე სამიტისთვის ჩაწერილ ვიდეომიმართვაში.

მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინისთვის ყირიმის დაბრუნება საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება.



## შალვა პაპუაშვილი:

# ვინც აფინანსებს „ქართული ოცნების" საწინააღმდეგო კლიპებს, კამპანიებს, იქნება ეს ამერიკული ფონდი თუ ევროპული ფონდი, ის ერევა ქართულ არჩევნებში...

**პარლამენტის** თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის თქმით, უცხოური დაფინანსება საარჩევნო აგიტაციის და კამპანიის, საერთოდ აკრძალულია, არათუ ცოტა დაფინანსება, ბევრი და ა.შ.

**„რაც შეეხება რუსეთის დაზვერვის განცხადებას, რუსეთის დაზვერვა და ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა ერთმანეთში უნდა შეთანხმდნენ. არც ერთი და არც მეორე თუ არ ჩაერევა ჩვენს არჩევნებში, მადლობელი ვიქნებით.**

**რაც შეეხება, ზოგადად, არჩევნებში უცხოურ ჩარევას, საერთო ჯამში, წინასაარჩევნო გარემოს ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ მიდის მშვიდ გარემოში. ერთადერთ ექსცესებს ვხედავთ „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან, ნახეთ, რომ ადამიანის სიკვდილამდე მიიყვანა მდგომარეობა მათ მიერ სიძულვილის კულტივირებამ, პლაკატების ჩამოხევამ და ა.შ. დეზინფორმაცია ტყუილზე უკვე არაფერს ვამბობ. ეს ერთი ტიპის დარღვევებია და მეორეა უცხოური ჩარევა ქართულ არჩევნებში.**

**ჩვენ ვნახეთ დანიის დაფინანსებული ღონისძიებები, რომლებიც კარგია, რომ შეწყდა, როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში მიხვდნენ, რომ არ შეიძლება მეგობარი ქვეყნის არჩევნებში ჩარევა, ჩვენ არ ვერევით დანიის არჩევნებში და არც დანია უნდა ჩაერიოს საქართველოს არჩევნებში. თავიდან ვხედავდით, რომ რაღაცნაირად გაჯიუტებული იყო ეს დონორი ორგანიზაცია და ამბობდა, რომ სასიკეთოდ კეთდებოდა, ბოლოს მიხვდნენ, როგორც ჩანს, როდესაც გააანალიზეს და ჩაუფიქრდნენ ამ საკითხს, თუმცა ზიანი უკვე დამდგარია, ჩარევა უკვე მომხდარია, ამას უკან ვეღარავინ დააბრუნებს.**

**ასევე, ჩვენ ვხედავთ, რომ უცხოური დაფინანსებით მიმდინარეობს კამპანიები, რომელიც შეფუთულია როგორც ამომრჩევლების განათლების კამპანია, ვგულისხმობ „ჩვენ, ვირჩევთ ევროპას", მსგავსი სახელი ჰქვია. ვნახეთ ჩვენ შეხვედრები იყო, მათ შორის, თავად დადეს ვიდეოები, სადაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის" წარმომადგენლები, ეკა გიგაური პირდაპირ „ქართული ოცნების" საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. ისინი ავრცელებენ კლიპებს, უცხოური დაფინანსებით აკეთებენ ამას, იღებენ კლიპებს,** – განაცხადა პაპუაშვილმა.

ყველას იდეოლოგია არის ლგბტ პროპაგანდის წახალისება საქართველოში. რა თქმა უნდა, როდესაც მათ წახალისება უნდათ, ამის შემაკავებელ კანონს მხარს ვერ დაუჭერენ. ამიტომ, 26 ოქტომბერს ქართველი საზოგადოებისგან ამაზეც მიიღებენ პასუხს, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ოპოზიციაზე საუბრისას ლგბტ პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების" ინიციატივაზე დასმული კითხვის საპასუხოდ.

მისივე თქმით, ინიციატივა ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვას ეხება და რა თქმა უნდა, ოპოზიცია მათ ამ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს, რადგან ისინი არიან ამ იდეოლოგიის გამავრცელებლები და მხარდამჭერები საქართველოში.

„ისინი ამბობენ, რომ სკოლებში, ბაღებში არასრულწლოვანებთან უნდა მიდიოდეს პროპაგანდა ლგბტ საკითხებზე; ისინი ამბობენ, რომ უნდა იყოს ერთნაირსქესიანთა ქორწინება დასაშვები; ისინი ამბობენ, რომ ერთნაირსქესიან წყვილებს უნდა შეეძლოთ ბავშვების შვილად აყვანა. ეს მათი იდეოლოგიაა. „ლელო", „ნაციონალური მოძრაობა", სხვები, ვინც არიან, ყველას იდეოლოგია არის ლგბტ პროპაგანდის წახალისება საქართველოში. რა თქმა უნდა, როდესაც მათ წახალისება უნდათ, ამის შემაკავებელ კანონს მხარს ვერ დაუჭერენ. ამიტომ, 26 ოქტომბერს ქართველი საზოგადოებისგან ამაზეც მიიღებენ პასუხს," – აღნიშნა პაპუაშვილმა.

მისივე თქმით, სალომე ზურაბიშვილიც „ნაციონალური მოძრაობის" გუნდის ნაწილია".

**„ამიტომაც შეინარჩუნეს პრეზიდენტი ამ თანამდებობაზე, რომ ვეტოები კარნახით დაადოს კანონებს და ვხედავთ, რომ ის საერთო ჯამში, კარგ როლს არაფერში ასრულებს",** – დასძინა პაპუაშვილმა.

**„მნიშვნელოვანია, რომ ცრუ ბრალდებები საქართველოს წინააღმდეგ შეწყდეს და გადაიტვირთოს ურთიერთობები. რაც შეეხება სანქციებს, ჩემი მოლოდინია, რომ გამოიძიებენ 2020 წლის პარალელური დათვლის ყალბი შედეგების გავრცელებაში USAID-ის მონაწილეობას და ვინ იცის, იქნებ USAID-ის ზოგი წარმომადგენლებისთვის გახდეს აუცილებელი სანქციების დაწესება. გამოიძიონ ეს საკითხი და ვნახოთ, რა როლი ჰქონდა 2020 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს საქართველოში სიტუაციის არევაში, იმ მხრივ, რომ ხელს უწყობდნენ და პარალელური დათვლის მცდარი შედეგების გავრცელების მონაწილეები იყვნენ",** – განაცხადა პაპუაშვილმა.

# ჰარისმა და ტრამპმა მარქსისტულად იკამათეს...



**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების, რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის და დემოკრატი კამალა ჰარისის პირველი ტელედებატები 10 სექტემბერს ფილადელფიაში გაიმართა.**

დებატების პირველი ნაწილი ეკონომიკას ეხებოდა. რესპუბლიკელების კანდიდატმა, ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დემოკრატიული პარტია დაადანაშაულა ოთხწლიანი მმართველობის პერიოდში ამერიკული ეკონომიკის დანგრევაში, კამალა ჰარისს „მარქსისტი" უწოდა და განაცხადა, რომ ჰარისის პროგრამა ბაიდენის პროგრამის ასლია.

დემოკრატების კანდიდატმა, ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა განაცხადა, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამ შეერთებულ შტატებს დაუტოვა „დიდი დეპრესიის" შემდეგ ყველაზე დიდი უმუშევრობა და განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში „შესაძლებლობების ეკონომიკის" მშენებლობას აპირებს.

პრეზიდენტობის კანდიდატების პირველი ტელედებატების დროს ტრამპმა ისევ გაიმეორა, რომ შეუძლია უკრაინაში ომი 24 საათში დაასრულოს. დონალდ ტრამპმა პირდაპირი პასუხი არ გასცა დებატების წამყვანის შეკითხვას, სურს თუ არა, რომ ომში უკრაინამ გაიმარჯვოს. რესპუბლიკელების კანდიდატის პასუხი იყო, რომ ომის შეწყვეტა უნდა, რადგან მილიონობით ადამიანი იღუპება.

ტრამპის განცხადებით, მას კარგი ურთიერთობა აქვს როგორც უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისთან, ისე რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან, რომლებიც მას, განსხვავებით ბაიდენისგან, პატივს სცემენ და შეუძლია, რომ კონფლიქტის მოგვარებას ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩევამდე მიაღწიოს.

კამალა ჰარისმა დონალდ ტრამპს შეახსენა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მასთან იბრძვის და არა ჯო ბაიდენთან. დემოკრატების კანდიდატის განცხადებით, აშშ-ის ნატოელი მოკავშირეები მადლიერი არიან, რომ ტრამპი პრეზიდენტი აღარ არის.

ჰარისის თქმით, ტრამპი რომ პრეზიდენტი იყოს, დღეს პუტინი კიევში იჯდებოდა და მზერა მიპყრობილი ექნებოდა დანარჩენი ევროპისკენ. კამალა ჰარისმა ვლადიმირ პუტინს უწოდა დიქტატორი, რომელსაც შეუძლია ტრამპი სადილად შეჭამოს.

**„რადიო თავისუფლება"**

# გენო პეტრიაშვილი: ვთვლი, რომ ჩვენი გუნდი არის ის გუნდი, რომელიც ევროპის გზაზე წაგვიყვანს მშვიდობით, ღირსებით!..



**გენო** პეტრიაშვილმა მედიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ ოპოზიციის მხრიდან ბულინგი არ გაჰკვირვებია, თუმცა ოლიმპიური ჩემპიონი და „ქართული ოცნების" სიის მე-7 ნომერი დარწმუნებულია, რომ სწორედ „ქართული ოცნება" არის ის ძალა, რომელსაც ქვეყნისთვის კეთილდღეობის მოტანა შეუძლია.

**„მთელი ჩემი ცხოვრება გავიზარდე ჩემი გმირების ისტორიებზე, მამაჩემი ორი ომის ვეტერანია, ძალიან თავდადებული ადამიანია ქვეყნის წინაშე. ეჭვი არ გვეპარება, რომ თითოეულ ჩვენგანს გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო. ჩემი გამარჯვება ყოველთვის ჩემს სამშობლოს და ჩემს გმირებს ეძღვნება.**

**ვთვლი, რომ ჩვენი გუნდი არის ის გუნდი, რომელიც ევროპის გზაზე წაგვიყვანს მშვიდობით, ღირსებით, ღირსეულად და გავაერთიანებთ ჩვენს სამშობლოს, დავიბრუნებთ და ავაშენებთ ძალიან მაგარ ევროპულ საქართველოს",** – განაცხადა პეტრიაშვილმა.

# ვიეტნამს „იაგიმ" გადაუარა

**ვიეტნამში, ტაიფუნ „იაგის" შედეგად თითქმის 200 ადამიანი დაიღუპა და 125 უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.**

რაც შეეხება ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოის, ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბური წყალდიდობა იყო, რის გამოც მოსახლეობის ევაკუაცია გახდა საჭირო.

მდინარე ჰონგში წყლის დონემ კლება დაიწყო, მაგრამ ქვეყნის ბევრი რაიონი კვლავ დატბორილია, ხოლო ძლიერი წვიმები კი გრძელდება.

ექსპერტების განმარტებით, ტაიფუნი „იაგი" და სხვა ტროპიკული ციკლონები კლიმატის ცვლილების გამო წლებთან ერთად ძლიერდება.



# საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**ცენტრის ახალი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩიქოვანი თანამშრომლებს ჯანდაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ წარუდგინა.**

„უწყების ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ ჩიქოვანთან ერთად საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სადისპეტჩერო დაათვალიერა და თანამშრომლებთან მიმდინარე პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

სხვადასხვა წელს ნიკოლოზ ჩიქოვანი ჯანდაცვის სამინისტროში არაერთ პოზიციაზე მუშაობდა. აღნიშნულ თანამდებობამდე, ცენტრის ახალი დირექტორი, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში, შიდა კონტროლის სამმართველოს უფროსის თანამდებობას იკავებდა. მანამდე კი, ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოში მუშაობდა".

## ეს ტრიუმფია საქართველოსი!

# ძალი შეგვწევს ქადილისა...

**შეხვედრის წინ ალბანელთა ბრაზილიელი თავკაცი სილვინიო ყველას აფრთხილებდა, საქართველოს ნაკრებიდან ხიფათს მხოლოდ კვარაცხელიასგან არ უნდა ველოდოთ, რადგან მას სხვაც ბევრი ჰყავს მაღალი დონის ოსტატიო.**

თურმე, ტყუილად როდი უგრძნობდა გული ფარსაგს მასპინძელთა მწვრთნელს. მთელი მატჩი ისე მიილია, რომ მამარდაშვილი თამაშში არ ჩაბმულა(!).

საერთოდ, საქართველოს ნაკრები ისტორიაში ყველაზე მეტჯერ სწორედ აღნიშნულ მეტოქეს შებმია და უკვე მე-9 გამარჯვება მოიპოვა 4 ფრისა და 3 მარცხის წილ – 1:0, მაგრამ ეარ ალბანია არენაზე ამჯერად მიღწეული წარმატება მაინც განსაკუთრებულად ფასობს – ჯერ ერთი, ორივე გუნდს მოტივაციას ამასწინანდელ გერმანულ ევროზე ნაჩვენები შესანიშნავი შედეგი მატებდა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, **ვილი სანიოლის** შეგირდებმა მორიგი გამარჯვებით აღნიშნეს რამდენიმე საათის წინ ქართული ოცნების საარჩევნო სიის წამყვანი ოცეულის დასახელება, რომელშიც ადგილი ლეგენდარული ოლიმპიური ჩემპიონებისთვისაც მოიძებნა.

რაც შეეხება უშუალოდ ბრძოლას, ნერვების ომი თავიდანვე გაჩაღდა და ადვილი მისახვედრი იყო, რომ ფრთხილ ტაქტიკაში გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა ან მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა, ან ერთი შეცდომა. ასეც მოხდა – შესვენების შემდეგ ჯვაროსანთა დამრიგებლის შეტანილ კორექტივებს სტუმართა ლიდერებმა რამდენიმე სახიფათო მომენტის განიავებით უპასუხეს, თუმცა ქოჩორაშვილის ბრწყინვალე სოლომ მაინც დაგვაწინაურა ერთა ლიგის **„ბ“ დივიზიონის** ჯგუფური რაუნდის სატურნირო ცხრილში.

როგორც წინა დუელში ჩეხებთან, ზედიზედ მეორე გოლის ავტორის გარდა შეუდარებელნი იყვნენ **ჩაკვეტაძე, კიტეიშვილი, კვარაცხელიას** კი მთელი მეორე ტაიმი, ვიდრე შეცვლიდნენ, გამაყუჩებლებით უთამაშია, რადგან შეხვედრის დასაწყისში უხეშად გაუწიეს მეურვეობა.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდის აქილევსის ქუსლად ტრადიციულად დაცვა ითვლებოდა, სანიოლის ხელში კი იგი ღირსეულად ასრულებს როგორც უშუალო ფუნქციებს, ისე შეტევებშიც თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად აქტიურად ერთვება. ტირანაშიც, ძნელი გასარკვევი იყო, **კაკაბაძე, გველესიანი, ლოჩოშვილი და კაშია** უკანახაზელები იყვნენ თუ სხვა მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული.

იმავე დღეს ჩეხეთმა შინ უკრაინას სძლია – 3:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** საქართველო – 6, ალბანეთი, ჩეხეთი – 3-3, უკრაინა – 0 ქულა.

საკვალიფიკაციო ეტაპი ერთ თვეში შემდეგი მატჩებით განახლდება: უკრაინა – საქართველო (პოლონეთის ქალაქ პოზნანში) და ჩეხეთი – ალბანეთი.

აქვე აუცილებლად უნდა შევეხოთ 21-წლამდელთა ევრო – 2025-ის შესარჩევი ციკლის მე-9 ტურის დასკვნით თამაშს, რომელიც მოლდოვასა და შვედეთს შორის ჩვენთვის სასურველი 0:0-ით დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:** ნიდერლანდები – 27, საქართველო – 16, შვედეთი – 14, მაკედონია – 9, მოლდოვა – 7, გიბრალტარი – 3 ქულა.

**10 ოქტომბერს** უმნიშვნელოვანესი ბრძოლაა: შვედეთი – საქართველო.







## მადლიერება




# გულის სითბოს, ფულადი ჯილდოების

**აჭარაბეთმა სპორტული ნაკრების წევრებს apeople-ს ოფისში უმასპინძლა და მადლობა გადაუხადა პარიზის ოლიმპიადაზე ბოლომდე ბრძოლისთვის.**

აჭარაბეთის სპორტული ნაკრების 8 წევრი მონაწილეობდა ფრანგულ ფორუმში:

**გენო პეტრიაშვილი, ტატო გრიგალაშვილი, სანდრო ბაზაძე, ლაშა შავდათუაშვილი, გურამ თუშიშვილი, ეთერ ლიპარტელიანი, ვაჟა მარგველაშვილი და ნინო სალუქვაძე,** რომელიც წელს მეათედ გამოვიდა ოლიმპიურ თამაშებზე.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქართველი სპორტსმენების მხარდაჭერა და ორმაგად სასიხარულოა, რომ აჭარაბეთის სპორტული ნაკრების 8 წევრმა საქართველო წარადგინა პარიზის ოლიმპიადაზე და არაერთი გამარჯვება მოუტანა ქვეყანას. დღეს ოლიმპიელები იმყოფებიან ჩვენთან ერთად და ისინი შეხვდნენ apeople-ის გუნდის წევრებს, რომლებმაც მათ საზეიმო დახვედრა მოუწყვეს.

მადლიერების ნიშნად აჭარაბეთმა 270 000 ლარის ფულადი ჯილდოები გადასცა სპორტსმენებს. კიდევ ერთხელ ვულოცავთ მათ და გულშემატკივარს გამარჯვებას!“. – განაცხადა **ნინო გუჯაბიძემ**, აჭარაბეთის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა.

„ძალიან კარგი შეხვედრა და საღამო იყო, ბევრი სასიამოვნო ადამიანი შემოგვიერთდა. აჭარაბეთის სპორტული ნაკრებიდან ბევრი მეგობარი ვნახეთ, რომლებსაც ხშირად ვერ ვხვდებით და გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენი ემოციები.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აჭარაბეთს ქართველი სპორტსმენების გვერდში დგომისთვის და დაფასებისთვის. ასევე თითოეულ თქვენთაგანს, გულშემატკივარს სითბოსთვის და გამარჯვების მუხტის შექმნისთვის.“ – განაცხადა **გენო პეტრიაშვილმა.**

* * *

**როგორც ხედავთ, ჩვენს ხელისუფლსაგოგმანებელ ოლიმპიელებს მთელი საზოგადოება გულში იკრავს, მათ შორის – საქმიანი წრეების წარმომადგენლები, თუმცა გამონაკლისს ამ შემთხვევაშიც ვაწყდებით და, აბა, ვინ მისცემდა თავს უფლებას გონება დაებინდა და პირი აემყრალებინა, თუ არა ოპოზიციად წოდებული ფაშისტური ხროვა და სამშობლოს ნებისმიერი წარმატებით კრუნჩხვებში ჩავარდნილი ე. წ. ოპომედია.**

**ამჯერად მავნებელთა შტურმის ობიექტებად ქართული სპორტული სამყაროს ის თვალსაჩინო წევრები იქცნენ, რომლებსაც მმართველმა პარტიამ უდიდესი პატივი დასდო და საარჩევნო სიის წამყვან ოცეულში დასახელებით მისაბაძი ნდობა გამოუცხადა.**

**გეკითხებით – რა დაშავდება იმით, თუ ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი ჩემპიონის ხასიათს ახალ ასპარეზზეც გამოავლენენ და ამომრჩეველთა ინტერესებს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დაიცავენ?**

**და კიდევ: როცა სოციალური ქსელებით დაუმსახურებელ შეურაცხყოფას ერის საამაყო შვილებს აყენებ, სულ მცირე თავად უნდა იყო პირნათელი და ახლო წარსული მაინც გქონდეს სუფთა. დავიჯერო, უკვე დაავიწყდათ როგორ ჩააბეს საპარლამენტო ცხოვრებაში ტატამის დიდოსტატი ზაზა კედელაშვილი? აზრზე მოდით, მედროვეებო!**

## პრესტიჟი

# მერიის მხარდაჭერით Socca Grand Prix 7-ის საერთაშორისო ჩემპიონატი გაიხსნა

**თბილისის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ 7x7 ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებით, მზიურის პარკში არსებულ MASTER LEAGUE ARENA-ze Socca Grand Prix 7-ის საერთაშორისო ჩემპიონატი გაიხსნა (16 მონაწილე, აქედან 12 უცხოური).**

ჩემპიონატის გახსნის ღონისძიებას დედაქალაქის მერი **კახა კალაძე** დაესწრო, რის შემდეგაც, თბილისის მერიის გუნდთან ერთად, ესპანეთის გუნდს, EUSKADI F7-ს შეხვდა. თამაში ფრედ 1:1 დასრულდა.

თამაშის დასრულების შემდეგ კახა კალაძემ მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს და მონაწილეებს, ასევე, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მსგავსი ტურნირების მნიშვნელობას ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის.



სულთათანა

# დაუვიწყარი ზურაბ ლომიძე



**გარდაიცვალა ზურაბ ლომიძე... თბილისს დააკლდა კიდევ ერთი კოლორიტი, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, ქალაქის ტრფიალი, ერთგული და გამტანი კაცი. საქართველოს მოუკვდა დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენოსანი, შესანიშნავი პუბლიცისტი და პროფესიონალი მთარგმნელი...**

ვერის უბნელებს კარგად ემახსოვრებათ მაღალი, სიმპათიური, მუდამ მოწესრიგებული, კლასიკურ სამოსში გამოკვანწული კაცი, რომელიც ფიქრის გორიდან „ზემელზე“, საქინფორმის შენობამდე ფეხით ჩაივლიდა, ყველა ესალმებოდა, თავადაც ღიმილით პასუხობდა მოკითხვაზე... სიკეთის მირონი ჩამოსდიოდა შუბლიდან...

იგი 1933 წელს დაიბადა ჭიათურაში, საშუალო სკოლა კი ბორჯომში დაამთავრა წარჩინებით. უყვარდა ბორჯომი, ყოველ ზაფხულს იქ ატარებდა, ჩვენ, ახლობლებსაც დიდი სიყვარულით გვიზიარებდა ბორჯომულ ამბებს. ასაკში შესულმა შესანიშნავი ნოველებიც დაბეჭდა. ალბათ მოუცლელობის გამო არ მწერლობდა – სხვათა ნაშრომების რედაქტირება-ჩასწორებას, მთარგმნელობით საქმიანობას შეალია თავისი ნიჭი და ძალ-ღონე, თარგმნიდა შესანატრი რუდუნებით, მაღალი პროფესიონალიზმით, დიდებული ქართულით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1957 წლიდან ჟურნალისტად დაიწყო მუშაობა საქინფორმში. რიგითი ჟურნალისტობიდან, ამ ცნობილი საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის მოადგილე გახდა, პარალელურად პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტილისტ-მთარგმნელი და ცეკას მდივნების თანაშემწე იყო.

ბოლოს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიდო ბინა და მისი შეუცვლელი სტილისტ-მთარგმნელი გახდა.

გვიხაროდა ცნობილ კოლეგასთან საუბარი, თავადაც გულიანი მოყოლა იცოდა, ენციკლოპედიური ნიჭის და ფენომენალური მეხსიერების პიროვნება გახლდათ. არ არსებობდა საკითხი, რჩევისთვის მიგვემართა და მისგან ამომწურავი პასუხი არ მიგვეღო. ყოფილა შემთხვევა, რომ მოგვიანებითაც დაურეკია ტელეფონზე და დამაზუსტებელი და რამდენჯერმე გადამოწმებული, თან შესაბამისი წყაროებიდან დამოწმებული პასუხიც გაუცია. არავის დაბადების დღე არ გამორჩებოდა. ყველას გვასაჩუქრებდა, ბოლოს, როდესაც უფლება მისცა თავს დასვენებისა, სახლიდან გვეხმაურებოდა, ჩვენს წერილებს (გაზეთს უთენია შეიძენდა), უკვე ძირფესვიანად წაკითხულს შეგვიფასებდა და, განწყობის ასამაღლებლად ახალ ანეკდოტსაც მოაყოლებდა...

ბატონი ზურაბი თბილი, ზნეკეთილი, ქართული ტრადიციების მოყვარული და გამართული ოჯახის თავკაცი გახლდათ. შვილითა და შვილიშვილით ხარობდა. მეუღლემ შეგვატყობინა მისი გარდაცვალება, ორი დღის წინ დავკრძალეთო, ბორჯომში, მისი უკანასკნელი თხოვნა იყო, არავინ შეაწუხოთო, მაგრამ იმდენი ადამიანი გვირეკავს, იძულებული ვართ, გაზეთის საშუალებით გავაგებინოთ მის დიდ სამეგობროს, რომ 91 წლის ასაკში უხმაუროდ განერიდა წუთისოფელს ეს ვალმოხდილი, მართალი კაცი.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს კაცობაში მუდამ დაუმარცხებელ ჭეშმარიტ მამულიშვილს, სულით ძლიერ ზურაბ შალვას ძე ლომიძეს!

**კოლეგები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“**

სანთელი

# ნათელა დუშუაშვილი



დეიდას მართლაც რომ დედის სურნელი ამკობს.

დღეს 80 წელი უნდა მოგველოცა, მაგრამ საფიცარი კობას ტრაგიკულმა ხვედრმა ჯერ იური მიქაუტაძეს მოუსწრაფა სიცოცხლე, ხოლო მალევე შენც შეუერთდი მართალთა განსასვენებელში საყვარელ ქმარ-შვილს.

თქვენს სიყვარულზე დღესაც აღმატებულ ტონში საუბრობენ – თეატრალურის სტუდენტებმა სწავლა სხვაგან გააგრძელეთ და მხოლოდ შემდეგ დაუკავშირეთ ბედი ერთმანეთს.

იგივე შეიძლება ითქვას სტუმართა გამასპინძლების თქვენეულ ზღაპრულ უნარზე. დიახ, ყველას საოცნებო მიმღები იყავით როგორც კახეთში, ისე რაჭასა თუ დედაქალაქში.

რაც შემეხება პირადად მე, საკუთარ შვილთაგან არ მარჩევდით და დედისერთობა რომ არ მეგრძნო, მშობლიური ამაგის პარალელურად, უფროს მეგობრობასაც მიწევდით.

ყველაფრისთვის მადლობა!

გილოცავთ იმქვეყნიურ იუბილეს, სადაც უკვე უძვირფასესი ეკაც შემოგიერთდათ.

**შენი გია**

ხსოვნა

**გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“** რედაქცია უსამძიმრებს გაზეთის ოპერატორს შორენა გვილიას სიძის

## ამირან ნათობიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

# „იაპონელი შინდლერი“

## დიპლომატი, რომელმაც 6000-ზე მეტი ებრაელი გადაარჩინა

**ჩიუნე სუგიჰარა 1900 წლის 1 იანვარს მინოში, იაპონიაში დაიბადა. დისციპლინირებულ და მეცნიერულ ოჯახში გაზრდილ სუგიჰარას მედიკოსის კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისი ინტერესი უცხო ენებისა და დიპლომატიის მიმართ საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ის იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუერთდა და თავისუფლად დაეუფლა რუსულ ენას, რამაც მეორე მსოფლიო ომის წინ ლიტვაში მისი დიპლომატად დანიშვნა განაპირობა.**

1939 წელს სუგიჰარა ვიცე-კონსულად დაინიშნა. 1940 წლისთვის ნაცისტების პოლონეთში შეჭრამ ასობით ათასი ებრაელის იძულებითი გადაადგილება გამოიწვია. ჰოლოკოსტისგან თავის დაღწევის იმედით, ლიტვაში ბევრი გაიქცა, თუმცა, ვითარების გაუარესების გამო, ებრაელი ლტოლვილები უსაფრთხო ტერიტორიებზე გასაქცევად ვიზების შოვნას ცდილობდნენ.

სუგიჰარა მალე მორალური დილემის წინაშე აღმოჩნდა: მისმა ხელმძღვანელებმა ტოკიოში გასცეს მკაცრი ბრძანება, რომ სათანადო დოკუმენტაციის გარეშე, ებრაელი ლტოლვილებისთვის ვიზები არ მიეცათ. სუგიჰარა ხედავდა, რომ მის წინაშე ადამიანური ტრაგედია ტრიალებდა. ჩიუნემ ბრძანება უგულებელყო და მიიღო გაბედული გადაწყვეტილება, ვიზა რაც შეიძლება მეტი ებრაელი ლტოლვილისთვის მიეცა, რაც მათ საშუალებას აძლევდა, უსაფრთხოდ გამგზავრებულიყვნენ იაპონიაში.

სუგიჰარა კვირების განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა და ასობით ვიზას ამზადებდა. საკონსულოს დახურვის ბრძანების შემდეგაც კი სუგიჰარამ განაგრძო ვიზების დამზადება და მატარებლის ფანჯრიდან გადაყარა ისინი, როცა იაპონიაში ბრუნდებოდა. საბოლოო ჯამში, სუგიჰარას 6000-ზე მეტი ებრაელის სიცოცხლის გადარჩენას მიაწერენ.

ომის შემდეგ სუგიჰარა იაპონიის მთავრობამ დიპლომატიური თანამდებობიდან დაუმორჩილებლობის გამო გაათავისუფლა. ათწლეულების განმავლობაში მისი




გმირული საქმეები უცნობი იყო, ყველაფერს ნათელი მხოლოდ 1985 წელს მოეფინა.

სუგიჰარა 1986 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი ყოველთვის იცოცხლებს. ამ საოცარი კაცის ისტორია გვახსენებს, რომ ერთი ადამიანის სინდისსა და გამბედაობას უამრავი ადამიანის ბედის შეცვლა შეუძლია, თუნდაც ყველაზე ცუდ დროს...




## ნარკორეალიზატორ დედა-შვილს 17-17 წლით პატიმრობა მიესაჯა

**ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, შენახვის და გასაღების ფაქტებზე 2 ბრალდებული დამნაშავედ ცნო.**

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2024 წლის 6 იანვარს, ბრალდებულები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები – დედა-შვილი, უკანონოდ ინახავდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს, რომელთა გასაღების მიზნით მივიდნენ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისქურის ტერიტორიაზე.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები იმავე დღეს დააკავეს და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“ და მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად უკანონო შეძენა-შენახვა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება) და სასჯელის სახედ და ზომად 17-17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## თურქეთში ქართველი ქალი მოკლეს!

**ეს შემზარავი ფაქტი ბეიოღლუს რაიონში, ერთ-ერთ სასტუმროში მოხდა.**

ადგილობრივი ინფორმაციის ცნობით, ქალს სასიკვდილოდ, თავისმა შეყვარებულმა სცემა. მას პირველადი დახმარება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა ადგილზე გაუწიეს, რის შემდეგაც კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მედია ასევე წერს, რომ სავარაუდო დამნაშავემ შემთხვევის ადგილიდან გაქცევა სცადა, თუმცა მას სასტუმროს თანამშრომელი აედევნა და დააკავა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

## დააკავეს სექსუალური ხასიათის დანაშაულისა და გამოძალვისთვის

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 2006 წელს დაბადებული რ.ხ. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და გამოძალვის ბრალდებით მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.**

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული არასრულწლოვან ა.ს.-ს სოციალური ქსელის მეშვეობით მისთვის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის გადაგზავნას სთხოვდა, რომლითაც შემდგომ მას აშანტაჟებდა და სხვადასხვა ოდენობის თანხას სძალავდა.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ ბრალდებულმა ძალადობის მუქარით ა.ს.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება განახორციელა.

# პოეტის ახალი ლექსი




მოთოკვა ბევრჯერ სცადეს ქართლის,
მტრებმა რამდენი მახე აგეს;
თვალს არასოდეს ვუხუჭავდით –
გაიძვერათა სივერაგეს.

ვიმღერდით: ვახტანგ მეფის ტერფი,
იალბუზს, ცაში აჭრილს, დრეკდა...
იჯდა ტაიჭზე, თოვლისფერზე,
ვინ შელეწავდა რკინის ზეგთარს?!

მონღოლთა ურდოს ვახეთ რისხვა,
გადვურჩით დარიოსს და იროსს...
ქვეყნად არავის მივცემთ ნებას,
სამშობლო ჩვენი დაამციროს!

ასე იქნება, კრემლთან ერთად,
თავგასულს შევახსენებთ ტეხასს –
ხერხემალს, კავკასიონისა,
ვერა ძალა ვერ გადატეხავს!

ქნევაში შემოაცვდა ხმალი,
დამიწდა რა მარჯვენა, რა ხმა...
ფუჭად იომა, არ ეგონოთ -
პატარა, უძლეველმა კახმა!

# კრება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა მიასინეს სავანეში



**14 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ნიდიქტიონის ანუ ეკლესიური ახალი წელიწადის დაწყებას.**

...ხატმებრძოლობის დროს სასწაულმოქმედი ხატი ღვთისმშობელისა (მიასინის მონასტრიდან) თურმე ტბაში ჩაუგდიათ. კარგა ხნის შემდეგ ხატი ტბის სიღრმიდან ზემოთ ამოიმართა და იმდენი ხნის მანძილზე წყალში ყოფნის მიუხედავად, სინესტისაგან სრულიად დაუზიანებელი მორწმუნეებმა იპოვეს.

სამხრეთის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში დაწესებულია, რომ სექტემბრის პირველ დღეს მორწმუნეები შეიკრიბონ და თაყვანი სცენ სასწაულმოქმედ ხატს...

ამ დღესასწაულზე ზეციურ მფარველს ვევედრებით, რომ ჩვენ ცოდვილებს მოგვცეს მშვიდობა და სინანული.

**გიული ლიპარტია**

# თბილისში ვისკის პირველი მასშტაბური ფესტივალი გაიმართება



**„თბილისის ვისკის ფესტივალი 2024“ არის საინტერესო და პირველი მასშტაბური ფესტივალი საქართველოში, რომელიც გაიმართება 21-22 სექტემბერს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მესამე პავილიონში (მის: თბილისი, წერეთლის 118).**

„თბილისის ვისკის ფესტივალი 2024“ იზიდავს ვისკის ენთუზიასტებს მთელი ქვეყნიდან. ის სთავაზობს ადამიანებს შესანიშნავ შესაძლებლობას აღმოაჩინონ და დააგემოვნონ ვისკის უამრავი სახეობა, გაეცნონ გამოხდის პროცესს და შეხვდნენ ვისკის სხვა მოყვარულებს.

ფესტივალის გენერალური სპონსორია „**GD Alco**“ ხოლო სპონსორები: „ვისკის სახლი“, და „სმაგლერსი“, ექსკლუზიური მხარდამჭერია „**Intrade**“, ექსკლუზიური პარტნიორი – ადგილობრივი ვისკის მწარმოებელი კომპანია „ქართველი“, რომელმაც ექსკლუზიურად ფესტივალისთვის ჩამოასხა ქართული ვისკი „**Jimsher**“ 12-წლიანი დაძველებით.

ასევე ექსკლუზიურად ფესტივალისთვის შეიქმნა უგემრიელესი შოკოლადები ტორფირებული ვისკის შიგთავსით, რომლის შექმნაზეც იზრუნა კომპანია “**ChiriFruit**“-მა სიგარის მოყვარულებს გექნებათ შესაძლებლობა, დააგემოვნოთ კომპანია “**Havana Club Tbilisi**“-ს მიერ შემოთავაზებული საუკეთესო კუბური სიგარები, ლუდის მოყვარულებს კი კომპანია „**Intrade**“-ის მიერ შემოთავაზებული ლუდი „**Benediktiner**“-ი, ტერასაზე წარმოდგენილი იქნება “ფუდკორტი“ უგემრიელესი სენდვიჩებითა და კოქტეილებით.

ფესტივალს ასევე ჰყავს ექსკლუზიური პარტნიორი “თეთრი კვადრატი“ რომელიც სტუმრებს წარუდგენს ინფორმაციას ახალი პროექტების შესახებ.

ფესტივალს ესტუმრებიან სხვადასხვა კომპანიის უცხოელი ბრენდ-ამბასადორები, რომლებიც თავიანთ მოხსენებასთან ერთად ჩაატარებენ საინტერესო მასტერკლასებს.

ფესტივალი გაფორმებული იქნება სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთის“ მიერ შესრულებული ქართულ-ირლანდიური




ცეკვებით, ცნობილი მუსიკალური ჯგუფების მიერ შესრულებული სიმღერებით, ევროპიდან მოწვეული „კილტის საზოგადოების“ მიერ ტრადიციული საკრავებით შესრულებული შოტლანდიური ფოლკლორითა და საქსაფონისტი დათო დავითულიანის მიერ შესრულებული ულამაზესი კომპოზიციებით!

ამ განსაკუთრებულ დღეებს უამრავი ადამიანი ელოდება. დეგუსტაცია, დაგეგმილი უამრავი აქტივობა, საჩუქრები და ეს დიდი ზეიმი დარწმუნებულები ვართ, რომ დაუვიწყარი და საუკეთესო გამოცდილება იქნება სტუმრებისთვის.

# რემბრანდტის დაკარგული ნახატი ფერმის სხვენში იპოვეს




**რემბრანდტის დაკარგული ნახატი ფერმის სხვენში იპოვეს – ის 1.4 მილიონ დოლარად გაიყიდა. აღმოჩენა აშშ-ში, მეინის შტატში გაკეთდა. ძვირფას ნამუშევარს აუქციონერმა ფერმის სხვენის დალაგებისას მიაკვლია. მე-17 საუკუნის ტილოზე ახალგაზრდა ქალია გამოსახული. მისი ვინაობა ამ ეტაპზე უცნობია, მაგრამ ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ნამუშევარი რემბრანდტს ეკუთვნის.**

„სხვენში უამრავ საინტერესო და ანტიკურ ნივთს მივაკვლიეთ. ერთ-ერთ კუთხეში საგულდაგულოდ შენახული ნახატები იყო მოქცეული. გულმოდგინედ დათვალიერების შემდეგ, ერთ-ერთმა ტილომ განსაკუთრებულად მოგვჭრა თვალი. შესამოწმებლად ის მაშინვე ხელოვნებათმცოდნეებს გადავეცით. არ შევცდით – ნახატი რემბრანდტის აღმოჩნდა“, – ამბობს აუქციონერი კაია ვეილე.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ავტორის სახელი და გვარი ნახატის უკანა მხარესაა დატანილი. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით, როგორ აღმოჩნდა ის ფერმის სხვენში, თუმცა ცნობილია, რომ 1970 წელს ტილო ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმს გადაეცა.

აღმოჩენიდან მალევე დაუსათაურებელი ტილო აუქციონზე გაიტანეს. მისი ფასი 10000-15000 დოლარით განისაზღვრა, თუმცა, საბოლოოდ, 1.41 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს უდიდესი თანხაა, რაც ოდესმე მეინის შტატში გამართულ აუქციონზე შესულა.

## უცხოური ვალუტის კურსი:

**აშშ დოლარი - 2.6970; ევრო - 2.9786;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5271;**
**100 რუბლი - 2.9597; თურქული ლირა - 0.0793;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5858;**
**1000 სომხური დრამი - 6.9555.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 სექტემბერს**